HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროში
გერმანიის საგარეო პოლიტიკის საზოგადოების, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდისა და რობერტ ბოშის ფონდის ორგანიზებით
2012 წლის 1 მარტს გამართული
საჯარო დისკუსია თემაზე:

**"საქართველო და მისი მომავალი ევროპაში"**

**ძირითადი მომხსენებლები:**

**თორნიკე გორდაძე** - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

**გიუნტერ ვერჰოიგენი** - ევროკომისიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი და კარლ ფრიდრიჰ გიორდელერის სახელობის ეფექტური მმართველობის კოლეჯის დირექტორი

**ქეთევან ციხელაშვილი** - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე

**მოდერატორი: ნინო ლეჟავა** - ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს დერექტორი

დისკუსია გაიმართა რობერტ ბოშის ფონდის კარლ ფრიდრიჰ გიორდელერის სახელობის ეფექტური მმართველობის კოლეჯის პრეზენტაციის ფარგლებში

**ნინო ლეჟავა** - დღევანდელი დისკუსიის თემაა: საქართველო და მისი მომავალი ევროპაში. დისკუსია იმართება გერმანიის საგარეო პოლიტიკის საზოგადოების, რობერტ ბოშის ფონდის და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ერთობლივი ინიციატივით და ეძღვნება კარლ ფრიდრიჰ გიორდელერის სახელობის ეფექტური მმართველობის კოლეჯის პრეზენტაციას საქართველოში.

ვიდრე დღევანდელ მომხსენებლებს, ბატონ გიუნტერ ვერჰოიგენს, ბატონ თორნიკე გორდაძეს და ქალბატონ ქეთევან ციხელაშვილს გადავცემდე სასაუბროდ სიტყვას, მინდა ვთხოვო ქალბატონ ლენა მაისს, მიესალმოს საზოგადოებას გიორდელერის კოლეჯის სახელით.

**ლენა მაი** - გერმანიის საგარეო პოლიტიკის საზოგადოება წარმოადგენს პლატფორმას პოლიტიკური დისკუსიისთვის. ეს არ გახლავთ სახელმწიფო ორგანიზაცია. ჩვენ ორგანიზებას ვუკეთებთ სწორედ იმგვარ ღონისძიებებს, როგორსაც დღეს ესწრებით. ძალიან დიდ მადლობას ვუხდით ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს, ასევე, ბოშის ფონდს, რომელთანაც აქტიურად ვთანამშრომლობთ. ასევე, დიდი მადლობა კარლ ფრიდრიჰ გიორდელერის კოლეჯს. ახლა, მსურს სიტყვა გადავცე ბატონ მარკუს რობერტ ბოშის ფონდიდან.

**მარკუს ლუკი** - ღრმად პატივცემულო ქალბატონო ნინო, ბატონო ვერჰოიგენ, პატივცემულო თორნიკე, ღრმად პატივცემულო სტუმრებო, მოხარული ვარ, რომ საშუალება მაქვს ბოშის ფონდის სახელით მოგესალმოთ. განსაკუთრებით მახარებს ის ფაქტი, რომ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში სტუმრად ვიმყოფები. ქალბატონმა მაიმ უკვე აღნიშნა, რომ ამ ინიციატივის მიზანია განათლება მისცეს თურქეთის, სამხრეთ კავკასიის და 2012 წლიდან, რუსეთის მოქალაქეებსაც და ახალგაზრდა მმართველებს მისცეს ეფექტურ მმართველობაში ტრენინგების გავლის საშუალება. ეს ძალიან კარგი მაგალითია იმისათვის, თუ რატომ არის ეფექტური მმართველობა მნიშვნელოვანი. მისი ძირითადი ამოცანაა გერმანიასთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის გზით გამოცდილების გაზიარება.

რამდენიმე დღის განმავლობაში მოსკოვში მომიწია ყოფნა. ვესაუბრე ადგილობრივი განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელს ანტიკორუფციულ პროექტთან დაკავშირებით. 11 საათი იყო ბერლინის დროით, 15 საათი - თბილისისა და მოსკოვის დროით, სწორედ ამ დროს გამიღიმა ამ ადამიანმა და მითხრა, რომ გადადგა ჩვენი სახელმწიფოს პრეზიდენტი. ეს, სწორედ იმ დროს მოხდა, როდესაც რუსეთში ანტიკორუფციულ პროგრამაზე ვსაუბრობდით. უცებ გავიაზრეთ, რომ ეს პროგრამა ერთად უნდა განგვეხორციელებინა. ანუ, როდესაც საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფოს პრეზიდენტი გადადგება იმის გამო, რომ არსებობს გარკვეული ეჭვი, რომ ის კორუფციაშია გარეული, ეს ძალიან კარგი ნიშანია იმისთვის, რომ ეფექტური მმართველობა აქტუალური ხდება. ამასობაში, დაიწყო ეს პროგრამა... ის უკვე 11 წელია ხორციელდება, ბოლო ორია წელია ფოკუსირებული ვართ ამ რეგიონზე, და ეს გახლავთ შუალედური შეხვედრა, რომელიც ორგანიზებული იქნება თავად მონაწილეთა მიერ.

ძალიან დიდი მადლობა ჩვენს ქართველ კოლეგებს იმისთვის, რომ ყველაფერი გააკეთეს ამ ღონისძიების ჩასატარებლად. დიდი მადლობა თქვენ და დიდი მადლობა

ჩვენს მასპინძელს, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მოწვევისთვის. ველი საინტერესო და აქტიურ დისკუსიას.

**ნინო ლეჟავა** - კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ დღეს ჩვენს დარბაზში იმყოფებიან გიორდელერის სახელობის კოლეჯის მსმენელები, რომლებიც წარმოადგენენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს: სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა და ბელორუსია და რა თქმა უნდა, საქართველოც.

წარმოგიდგენთ მომხსენებლებს: ბატონი გიუნტერ ვერჰოიგენი გახლავთ გიორდელერის კოლეჯის დირექტორი და ამავე დროს, ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. ის ჩვენთვის იმით არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ წლების განმავლობაში გახლდათ ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ 1999-2004 წლებში ბატონი ვერჰოიგენი იყო ევროკომისარი გაფართოების საკითხებში. დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელ დისკუსიაში მონაწილეებისათვის მისი გამოცდილების გაზიარება განსაკუთრებით საინტერესო იქნება. ბატონი ვერჰოიგენი ევროკომისრობის თანამდებობაზე მხარს უჭერდა თურქეთის გაწევრიანებას ევროკავშირში. ესეც, გარკვეულ ასპექტს სძენს დღევანდელ დისკუსიას რეგიონალურ პრიზმაში.

ბატონი თორნიკე გორდაძე გახლავთ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. ის კითხულობდა ლექციებს პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში პოლიტიკურ სოციოლოგიაში, ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის საკითხებში, ასევე, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების თანამედროვე ისტორიაში. ბატონი თორნიკე ასევე მუშაობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსულტანტად კავკასიის საკითხებში. ასევე, გახლდათ ამ სამინისტროსთან არსებული კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების დირექტორი და ვიდრე საქართველოს დაუბრუნდებოდა, იყო ანატოლიის კვლევის ფრანგული ინსტიტუტის კავკასიის ობსერვატორიის დირექტორი.

ქალბატონი ქეთევან ციხელაშვილი მოვიწვიეთ როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე. ქალბატონი ქეთი, ამავე დროს, გახლავთ "ლიბერალური აკადემია - თბილისი"-ს დამფუძნებელი და დირექტორი. ის, სულ ცოტა ხნის წინ, აირჩიეს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარედ და ისაუბრებს პლატფორმის როლზე საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების პროცესში. ქალბატონი ქეთევანი წლების განმავლობაში გახლდათ ნაუმანის ფონდის კონსულტანტი, ასევე, ევროპის სტაბილურობის ინიციატივის მრჩეველი და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის პროექტების მენეჯერი.

მინდა შეგახსენოთ საერთაშორისო კონტექსტი, რომელშიც გვიწევს დისკუსიის გამართვა. გასული კვირა ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო იყო. მოგეხსენებათ, 27 თებერვალს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭომ მიიღო დასკვნა, რომელიც მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას. ეს დასკვნა შეიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებსაც. დასკვნაში საუბარია დემოკრატიული ტრადიციის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის საქართველოში კონსოლიდირებული დემოკრატიის არსებობის აუცილებლობა, პლურალიზმის და შეკრების


HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

თავისუფლების გარანტია, მედიის თავისუფლებისა და მედიით სარგებლობის თანაბარი უფლების უზრუნველყოფა, ასევე, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის კიდევ უფრო გაძლიერება. დასკვნაში საუბარია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებზე, დღემდე გადაუჭრელი კონფლიქტების პრიზმაში.

აქვე ვიტყვი, რომ ამ კვირას საქართველოს სტუმრობდა კარელ დე ჰუხტი, რომელიც არის ევროკომისარი ვაჭრობის დარგში და მისი ოფიციალური ვიზიტი მიმდინარეობდა არა მარტო საქართველოში, ასევე მოლდოვაშიც. სწორედ ამ ოფიციალური ვიზიტით დაიწყო საქართველოსა და მოლდოვეთთან ევროკავშირის მოლაპარაკებები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ. ასე რომ, ჩვენი დისკუსია საკმაოდ საინტერესოდ ეწერება ზოგად საერთაშორისო კონტექსტში.

ახლა კი, ვთხოვ ბატონ გიუნტერ ვერჰოიგენს თავისი მოსაზრება გაგვიზიაროს საქართველოსა და მისი მომავლის შესახებ ევროპაში. გმადლობთ.

**გიუნტერ ვერჰოიგენი** - ღრმად პატივემულო ქალბატონებო და ბატონებო, უღრმესი მადლობა იმისთვის, რომ მომეცა საშუალება წარვმდგარიყავი თქვენს წინაშე და მიმეღო მონაწილეობა დღევანდელ დისკუსიაში. ძალიან დიდი მადლობა ამისთვის ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს. ალბათ, ერთადერთი ადამიანი ვარ ამ დარბაზში, რომელიც ჰაინრიჰ ბიოლს პირადად ვიცნობდი, თუმცა, პირველად ვარ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში და ეს, განსაკუთრებით მახარებს.

დღევანდელი თემა ეხება საკითხს, თუ რა ევროპული მომავალი აქვს საქართველოს. საქართველო ევროკავშირისთვის პრობლემურ შემთხვევას წარმოადგენს. ევროპელებმა სათანადო დონეზე არ იციან, თუ როგორ შეიძლება იმოქმედონ საქართველოსთან მიმართებაში. იმაზე, რა თქმა უნდა, არ არის ლაპარაკი, რომ საქართველო ევროპის ნაწილია. ძალიან ბევრმა ადამიანმა, თუ კითხავთ საქართველოს, მოლდოვეთის, სომხეთის შესახებ, შეიძლება გიპასუხოთ, რომ ეს ქვეყნები არ წარმოადგენს ევროპის ნაწილს, მაგრამ, ეს რა თქმა უნდა შეცდომაა. საქართველო, არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობის გამოა ევროპის ნაწილი, არამედ, მისი ისტორიის, კულტურის და ტრადიციების გამოც. ყოველივე აქედან გამომდინარე, საქართველო ძალიან მნიშვნელოვანი ევროპული ქვეყანაა. ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ საქართველოს გეოგრაფიული ან კულტურული დისტანციის გამო არა აქვს უფლება თანასწორუფლებიანი წევრის სახით იყოს ჩართული ევროპაში მიმდინარე პროცესებში, შემიძლია ცალსახად ვუთხრა, რომ საქართველო მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო ქრისტიანული სახელმწიფო. საქართველო ქრისტიანული სახელმწიფო იყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დღევანდელი ევროპის ბევრი ქვეყნის მაცხოვრებლები ჯერ კიდევ ტყეში ცხოვრობდნენ. თუნდაც, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია იმის თქმა, რომ სამხრეთ კავკასია ნამდვილად წარმოადგენს ევროპის ნაწილს.

გარკვეული სირთულეების მიზეზი, მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, არსებობს. არსებობს კონკრეტული და ზოგადი ხასიათის მიზეზები. შევეხები ზოგად მიზეზებს. ევროკავშირისთვის იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც მან აღმოსავლეთისკენ გაიხედა, განსაკუთრებით 2004-2007 წლებში. ეს საკმაოდ მძიმე და ხანგრძლივი პროცესი იყო და ეს პოზიცია დღემდე დავის საგანია. დღემდე არ მესმის, რატომ სდუმან ევროპის სახელმწიფოები იმის თაობაზე, რომ ევროკავშირის


HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

აღმოსავლეთ გაფართოება წარმატების ისტორიაა. ძალიან ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია, თუ რა შიშები არსებობდა ევროკავშირის ძველ წევრ სახელმწიფოებში იმასთან დაკავშირებით, რამდენი საშინელება შეიძლებოდა მომხდარიყო ევროკავშირის აღმოსავლეთ გაფართოების შემთხვევაში, დაწყებული ემიგრანტების უზარმაზარი მასებით, გაგრძელებული ადამიანებით, რომლებიც წაართმევდნენ ადგილობრივ მაცხოვრებლებს სამუშაო ადგილებს, გაჩნდებოდნენ ყაჩაღები და ქურდები, რომლებიც დაიპყრობდნენ ჩვენს ქვეყნებს, მოხდებოდა ფულის გადინება ჩვენი ქვეყნებიდან და ა.შ. არის უამრავი სტერეოტიპი ამ საკითხებზე, რომლებიც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ან ვერც კი წარმოვიდგინოთ. ძალიან ბევრ ადამიანს უჩენდა საფიქრალს, იყვნენ თუ არა აღმოსავლეთის ქვეყნები მოწიფულები საიმისოდ, რომ ჩართულიყვნენ იმ პროცესებში, რომლებშიც იყვნენ ჩართულები ძველი ევროპული სახელმწიფოები, რამდენად შეძლებდა 27 წევრი სახელმწიფო პროდუქტიულად გადაწყვეტილების მიღებას და ა.შ. ეს, ის პროცესებია, რომლებიც იწყება დაახლოებით 2005 წლიდან. ამგვარი სტერეოტიპები დღეს უკვე აღარ არსებობს. ყოველ შემთხვევაში დღის წესრიგის პირველ საკითხს რომ აღარ წარმოადგენს, ამის თქმა ნამდვილად შემიძლია.

რა თქმა უნდა, არ იქნება შორსმჭვრეტელური, თუ ვიტყვით, რომ მსოფლიო პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელშიც დღეს ვიმყოფებით, ევროკავშირმა მხოლოდ საკუთარ მომავალზე უნდა იფიქროს. ძალიან რთულია საქართველოს მომავლის გამიჯნვა ევროკავშირის მომავლისგან. პირველ რიგში, ვგულისხმობ კლასიკურ მოტივაციას. ევროპული ინტეგრაციის კლასიკური მოტივი იმაში მდგომარეობდა, რომ ევროპაში შექმნილიყო მდგრადი და გრძელვადიანი მშვიდობა და ეს მოტივაცია დღემდე არსებობს. უფრო მეტიც, 21-ე საუკეუნეში ამ მოტივაციას კიდევ ერთი მოტივაცია ემატება - თუკი, ადრევე გვქონდა ევროპის გაერთიანების იდეა, სწორედ დღეს ვხედავთ გარკვევით იმას, და პირველ რიგში, ევროპის კონტექსტში, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს ირგვლივ მიმდინარე ცვლილებებს. მსოფლიო ძალიან სწრაფად იცვლება. პირველ რიგში, იგულისხმება გლობალიზაციის პროცესი. რამდენიმე დღის წინ, გაზეთში წავიკითხე, რომ ათ წელიწადში ეკონომიკური მოწყობა ისეთი იქნება, რომ ათი მმართველი ხელისუფლებისგან, ათი მმართველი ძალისგან მხოლოდ ერთი დარჩება ევროპაშიო. ამას თუ თურქეთს დავუმატებთ, ორი ასეთი ძალა იარსებებს ევროპის მასშტაბითო. ეკონომიკური ცენტრები მუდმივად ინაცვლებს და, რა თქმა უნდა, ეს დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკურ სფეროებზე. მსოფლიო ყალიბდება მულტიპოლარულ სისტემად. ერთი დომინანტი სუპერხელისუფლების, სუპერძალაუფლების ეპოქა წარსულს ჩაბარდა. ჩვენმა ამერიკელმა კოლეგებმა ეს იციან, მაგრამ, არ სურთ აღიარონ, თუმცა, რაღაც ხანში მოუწევთ აღიარება. კარგად ვხედავთ, რომ გლობალური თანამშრომლობის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი ხდება თანამშრომლობა, რადგან მცირერიცხოვან აქტორებს, რომლებიც ჩართულები არიან პროცესში, არ შესწევთ ძალა თუნდაც მცირერიცხოვანი კონფლიქტების დარეგულირებისა.

თუკი ევროპა არ გარდაიქმნება, არ გადახედავს პერსპექტივებს, შეიძლება ისე მოხდეს, რომ სხვათა გადაწყვეტილების ანაბარა დარჩეს. ევროპა დღეს მზად არის ერთი ხმით ილაპარაკოს და ყოველივე ამან, შესაბამისი სახე უნდა შეიძინოს. იმისათვის, რომ ვიქცეთ პოლიტიკურად ქმედით ძალად, ეკონომიკური ძალაც უნდა გვქონდეს და პოლიტიკურადაც აქტიურები უნდა ვიყოთ. ამას ვერ მივაღწევთ, თუ

დავუშვებთ ჩვენს წარმოდგენაში ვირტუალური საზღვრების გავლებას ევროპის გარშემო. მიუხედავად ამისა დღეს მაინც ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ ევროპა არის დასავლეთ ევროპა, შეიძლება რამდენიმე სახელმწიფო იყოს აღმოსავლეთ ევროპაშიც, მაგრამ, მათი რიცხვი ამით სრულდება. დასავლეთ საზღვარი არის ყოფილი საბჭოთა კავშირი და ამის იქით, საზღვრის გადაწევა შეუძლებელია, ეს არის სწორედ ცალსახა საზღვარი, სადაც მთავრდება ევროკავშირი და ევროპა. ამგვარ აზროვნებას ცალსახად უნდა დავუპირისპირდეთ. ევროპის ერთიანობის ძირითადი იდეა არ მდგომარეობს იმაში, რომ ევროპა ერთიანდება მაგალითად საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდოვეთის, უკრაინის, რუსეთის გამოკლებით. ეს იდეა მდგომარეობს შემდეგში და ეს გაწერილია ხელშეკრულებაში - ნებისმიერი ევროპული ერი, გამონაკლისის გარეშე, უფლებამოსილია ჩაერთოს ამ პარტნიორობაში. ლაპარაკია პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე, ხელშეკრულებაზე თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და ა.შ. ეს მინიშნებები არსებობს და ისინი დოკუმენტალურად არის გამყარებული. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩართულობა ევროპულ ინტეგრაციაში არ წარმოადგენს ცალკეული ქვეყნების პრივილეგიას. ეს არის უფლება, რომელიც ყველას აქვს, მათ შორის საქართველოსაც, რომელსაც აქვს დასაბუთებული პრეტენზია.

რა თქმა უნდა, საჭიროა არსებობდეს წინაპირობები, რომლებიც უნდა შეასრულოს თითოეულმა სახელმწიფომ იმისათვის, რომ ითანამშრომლოს ევროკავშირთან. უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი ბიძგი ნებისმიერ სფეროში და პოლიტიკურ სფეროშიც. ეს გულისხმობს წინსვლას სოციალურ და ეკონომიკურ სფეროშიც. თუკი, ვისაუბრებთ აღმოსავლეთის სახელმწიფოებზე, რომლებიც ევროკავშირის წევრები გახდნენ, 1999 წელს, მაგალითად, ამ ქვეყნებში ძალიან განსხვავებული სიტუაცია იყო. თუმცა, როგორც კი გაჩნდა პერსპექტივა ევროკავშირში გაერთიანებისა, სიტუაცია ძალიან დინამურად განვითარდა. სწორედ ამ პერიოდში ვიყავი ევროკომისარი ევროკავშირის გაფართოების საკითხებში და შემიძლია ცალსახად ვთქვა, რომ, რაც უფრო ძლიერია ორიენტაცია ევროკავშირისა სახელმწიფოებზე, რომლებიც ცდილობენ ევროკავშირში გაერთიანებას, მით უფრო ინტენსიურად მუშაობენ ეს ქვეყნები იმ წინაპირობების შესაქმნელად, რომლებიც საამისოდ აუცილებელია. არ არის სავალდებულო ველოდოთ სიგნალს ბრიუსელიდან, თუმცა, ამაზე დღეს ვერ ვილაპარაკებთ. თუმცა, შეიძლება იმის ცალსახა დასაბუთება, რომ არ არის საპატიო იმისი თქმა, რომ ევროპის გაფართოება დაუშვებელია. შეიძლება ბევრი მაგალითი მოვიმინოთ, მათ შორის ეკონომიკური კრიზისის და ბევრი გადაუჭრელი საკითხის შესახებ, მაგრამ, მათზე აპელირება არასწორად მიმაჩნია. ეს არის ის ზოგადი მოტივები, რომლებიც თავშეკავებას და ყოყმანს, გარკვეულ შიშებს იწვევს. გავიმეორებ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რაც გაკეთდა 2004-2007 წლებში. თუმცაღა განწყობილება, რომელზეც ვსაუბრობ, ძალიან მალე შეიძლება შეიცვალოს. შეიძლება კვლავ გაიღოს ფანჯარა ურთიერთთანამშრომლობისა, გაიხსნან სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ და თავშეკავების პოლიტიკა შეიცვალოს. ამას არ სჭირდება ძალიან დიდი დრო, შეიძლება რამდენიმე წელიწადში მოხდეს. სიტუაცია შეიძლება განსხვავებულად გამოიყურებოდეს, მაგრამ, ამისთვის საჭიროა მზადყოფნა, რომ როდესაც იარსებებს შესაძლებლობა, შანსი ოპტიმალურად იქნას გამოყენებული. დღესვე უნდა დავიწყოთ იმაზე ფიქრი, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, ინტენსიურად უნდა მოხდეს მზადება იმ დღისთვის, რომელიც ადრე

თუ გვიან აუცილებლად დადგება, საიმისოდ რომ დაკმაყოფილდეს რიგი წინაპირობებისა, რომლებიც შესაძლებელს გახდის ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას. შეგვიძლია, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად საქართველოზეც ვილაპარაკოთ.

გარდა ამისა, საქმე გვაქვს პრობლემასთან, რომელიც ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ვგულისხმობ, რუსეთის გავლენას. ლაპარაკია ადამიანებზე, რომლებიც ამბობენ, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთობა მოსკოვთან. რომ გვჭირდება რუსები, რუსეთი, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური პარტნიორი, როგორც გასაღების ბაზარი, როგორც მომწოდებელი ბუნებრივი რესურსებისა - ნავთობისა და გაზისა, და რა თქმა უნდა, უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის ინტერესები. ეს ქმნის კონფლიქტს, რომლის მოწმენიც საქართველოში არაერთხელ გავხდით. ეს ორი ნაკადი, ორი მიმართულება, რომლებიც ევროკავშირში არსებობს, ერთმანეთს საკმაოდ უშლის ხელს. პირველ ნაკადში მოიაზრებიან ევროპელები, რომლებიც ამბობენ, რომ ისინი უნდა იცავდნენ ღირებულებებს და ტრადიციულ ფასეულობებს მაშინაც კი, როდესაც, ამისათვის წინააღმდეგობა არსებობს, ანუ, იქნება ეს თვითგამორკვევის უფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, თავისუფლება, თუ თანასწორობა... სინამდვილეში საკმაოდ ოპორტუნისტულად ვიქცევით. ეს პრობლემა, როდესაც სახელმწიფო აღიქმება როგორც მხოლოდ თანამდევი პროდუქტი რუსეთთან ურთიერთობებისა, არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. ამგვარი პრობლემა სხვა სახელმწიფოებშიც არსებობს. უკრაინაც არსებობს მსგავსი პრობლემა, რომელიც საქართველოსთან შედარებით ძალიან დიდია. მაგრამ, საქართველოში ამ სიტუაციას ოდნავ განსხვავებული ფორმა აქვს. მოლდოვეთთან დაკავშირებით სიტუაცია ასევე განსხვავებულად გამოიყურება. საქართველოს აქვს უსაფრთხოების პრობლემები და, რა თქმა უნდა, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, რომელიც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია და შემიძლია ცალსახად და უშიშრად ვთქვა, რომ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ამას ვამბობ იმ შემხთხვევაშიც კი, თუ, ეს თეზისი არ არის ისეთი დიპლომატიური, როგორიც უნდა იყოს. საქართველო ოკუპირებულია. თქვენთვის არ იქნება სიურპრიზი, თუკი ჩემგან მოისმენთ ამ ფრაზას და თუ ვიტყვი იმას, რომ დაუშვებელია ძლიერ სახელმწიფოებთან ოპორტუნისტული თანამშრომლობა და ქმედებები. აუცილებელია, ქვეყნებმა დაიცვან თავიანთი ღირებულებები და ინტერესები. სწორედ ამით მიიღწევა გრძელვადიან პერსპექტივაში თითოეული სახელმწიფოს ინტერესების დაცვა.

დასასრულ დავძენ, რომ ყველა იმ სირთულის ფონზე, რომელზეც ვისაუბრე, საქართველომ აუცილებლად უნდა განაგრძოს ის გზა, რომელიც დაისახა. მოვა სხვა დროც, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, როდესაც ევროპა არ იქცევა გარკვეულ ექსკლუზიურ ფენომენად, რომელიც მხოლოდ დასავლეთის პრივილეგიას წარმოადგენს, არამედ, იქნება ყველასთვის ხელმისაწვდომი, ვინც კი საკუთარ თავს ევროპელად მიიჩნევს. მიმაჩნია, რომ ძალიან გონივრული იქნება დასახული ინიციატივის ეტაპობრივად განხორციელება. შეგახსენებთ სამეზობლო პოლიტიკას, რომელშიც საქართველოა ჩართული, და რომელიც, 2003-2004 წლებში იქნა ინიცირებული... მე და ჩემმა მეგობარმა მოვახდინეთ მისი ინიცირება. შეიძლება ისეთი რაღაცაც ვთქვა, რაც დღეისთვის დავიწყებულია - ეს პროგრამა იმისთვის არ მოგვიგონია, რომ ქვეყნებისთვის, რომლებსაც არ ჰქონდათ ევროკავშირში გაერთიანების საშუალება, ერთგვარი კომპენსაცია შეგვეთავაზებინა. ეს არ ყოფილა

სანაცვლო ნაბიჯი, არამედ იყო მოსამზადებელი ღონისძიება ქვეყნებისთვის, რომლებსაც ევროკავშირში გაწევრიანება სურდათ. ძირითადი იდეა ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა მდგომარეობდა იმაში, რომ შემუშავებულიყო შესაბამისი პოლიტიკური ინსტრუმენტი, რათა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უფრო მეტად დაახლოებოდნენ ევროკავშირს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ სამეზობლო პოლიტიკის რესურსი საბოლოო ჯამში ბოლომდე არ ამოწურულა და ასოცირების ხელშეკრულება იდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის და წინსვლა ამ მიმართულებით არსებობს. ეს მართლაც კარგი ინიციატივაა. ეს პოზიცია ისმის საგარეო საქმეთა მინისტრისგან, რომელიც კარგ ნიშნად მესახება. ეს არის ერთადერთი სწორი გზა - ეტაპობრივად იქნას გავლილი და თუკი, მოლოდინები, რომლებიც უკავშირდება ამა თუ იმ კონკრეტულ ნაბიჯს, შესრულდება, საქართველოსთან მიმართებაში კი ამგვარი მოლოდინები არსებობს, ბევრად უფრო ეფექტურად მოახერხებთ შემდგომი პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას. დიდი მადლობა.

**ნინო ლეჟავა** - დიდი მადლობა ბატონო გიუნტერ. იმის გამო, რომ დარბაზში უკვე ვხედავ რამდენიმე აწეულ ხელს, შეგახსენებთ ჩვენი დისკუსიის ფორმატს. ჩვენ გვყავს კიდევ ორი მომხსენებელი და მათ თავიანთი სათქმელი აქვთ. მხოლოდ მათი მოსმენის შემდეგ მოგეცემათ საშუალება დასვათ კითხვები და გამოხატოთ თქვენი პოზიცია.

ბატონ თორნიკე გორდაძეს გადავცემ სიტყვას. მას ვთხოვ, დაგვანახოს საქართველოს მთავრობის, განსაკუთრებით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების პროცესში.

**თორნიკე გორდაძე** - დიდი მადლობა. ძალიან მიხარია, რომ ამ თემით დაინტერესებულ ამდენ ადამიანს ვხედავ. თავს ვგრძნობ სამი გამოწვევის წინაშე. პირველი - როგორ შეიძლება ამ თემაზე ჩემი წარსულიდან გამომდინარე ვილაპარაკო, როგორც მთავრობის წარმომადგენელმა, შეიძლება ატავისტური გადახვევებიც მქონდეს და იმედი მაქვს, ნინო შემაჩერებს. მეორე გამოწვევა - რა შეიძლება ითქვას ორიგინალური ამ თემაზე ათასი კონფერენციისა და სემინარის შემდეგ. მით უმეტეს, რომ ბატონ ვერჰოიგენის მოსმენის შემდეგ ამის იმედი საერთოდ მომესპო. ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა, მან უკვე თქვა. მაგრამ, მაინც შევეცდები, რაღაც გითხრათ. ძალიან მიხარია, რომ ბატონ ვერჰოიგენის იდეები ძალიან ემთხვევა ჩვენს ხედვას. ჩვენს ხედვას, არა მარტო იმ პროცესებისა, რაც ჩვენი ქვეყნის სტრატეგიაა ევროკავშირის მიმართ, არამედ იმასაც, ჩვენ როგორ ვხედავთ ევროკავშირის შიგნით მიმდინარე პროცესებს.

ნინომ უკვე აღნიშნა, რომ გასული კვირა ძალიან ინტენსიური იყო ევროკავშირთან ურთიერთობის თვალსაზრისით და რამდენიმე მაგალითი მოიხმო. დავამატებდი, რომ ბრიუსელში ასოცირებაზე შეთანხმების მოლაპარაკების მორიგი რაუნდი გვქონდა. ნინომ მართებულად აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა საბჭომ ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიიღო და დაასახელა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. დავამატებდი რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორსაც. ხანდახან ოპტიკა, თუ საიდან უყურებ ამ დოკუმენტს, ცვლის ხოლმე წარმოდგენას. მაგალითად, ამ დოკუმენტში პირველადა ძალიან აშკარად ნათქვამი, რომ ევროკავშირი აღიარებს საქართველოს მისწრაფებას ევროკავშირისადმი და

საქართველოს ევროპულ არჩევანს, რაც არ არის საქართველოს ევროპული პერსპექტივა პირდაპირ, მაგრამ, ეს უკვე პროგრესია და აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მხოლოდ საქართველოზეა ნათქვამი.

ამავე დოკუმენტში არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ადამიანების გადაადგილებასა და უვიზო მიმოსვლის პერსპექტივასთან დაკავშირებით. ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის მინისტრები ამბობენ, რომ ეს არის ჩვენი საერთო მიზანი. აქამდე ეს იყო საქართველოს მიზანი და ისინი გვიყურებდნენ, როგორ მივდიოდით ამ მიმართულებით. ახლა უკვე არის საერთო მიზანი და სასიხარულოა ამის გაგება. ასევე, მნიშვნელოვანი ასპექტია და დიდი ნაწილი აქვს დათმობილი კონფლიქტის თემას. აშკარად არის ხაზგასმული, რომ რუსეთმა უნდა შეასრულოს თავის თავზე აღებული ვალდებულებები, გაიყვანოს ჯარები და შეწყვიტოს გამალებული შეიარაღება. სიტყვა ,,ოკუპირებული'' ნახსენები არ არის, მაგრამ, იმედი გვაქვს, რომ ბატონი ვერჰოიგენი დაბრუნდება ევროკავშირის დიდ პოლიტიკაში და თავის წვლილს შეიტანს ამ მხრივ... თუ არა და, გარედანაც შეიძლება აზრის გამოთქმა და ჩვენ ძალიან გვესიამოვნა მისი აზრის მოსმენა. არის კიდევ სხვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დებულებები ამ დოკუმენტში.

მეორე იყო ბატონ დე ჰუხტის ვიზიტი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ჩვენ ფაქტობრივად უკვე დაწყებული გვაქვს მოლაპარაკება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე ევროკავშირთან. ნულოვანი რაუნდი უკვე შედგა იანვარში. ეს უფრო ტექნიკური ხასიათის რაუნდია, სადაც ჯგუფები თანხმდება... ჩვენი მხრიდან სამოცამდე ექსპერტი იქნება ჩართული ამ პროცესში, დაახლოებით ამდენივე იქნება ევროკავშირის მხრიდანაც. უკვე გაწერილია 2012 წლის პროგრამა. სულ ოთხი რაუნდი იქნება, თითო რაუნდი ერთ კვირას მოიცავს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ იმ სამუშაოს ნაყოფს ვიმკით, რაც წინა წლებში შევასრულეთ.

შარშანდელი წელი ძალიან პოზიტიური იყო. გარდა იმისა, რომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ვაკმაყოფილებთ ყველა წინაპირობას საიმისოდ, რომ დავიწყოთ მოლაპარაკებები სავაჭრო შეთანხმებაზე, ნოემბერში ევროპარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ძალიან მნიშვნელოვანი რეზოლუცია. ეს არის, ალბათ, ევროპარლამენტის მიერ საქართველოს შესახებ მიღებული ყველაზე მნიშვნელოვანი რეზოლუცია. დაწვრილებით არ შევჩერდები ამ რეზოლუციაზე, ერთს ვიტყვი, რომ, დღესდღეობით, ევროპარლამენტის როლი, განსაკუთრებით, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ძალიან გაზრდილია, რაც გვიტოვებს იმედს, რომ ევროპარლამენტის რეზოლუცია აისახება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაზე და ევროკომისიის გადაწყვეტილებებზეც.

2011 წელს რამდენჯერმე გაჟღერდა იდეა და სულ უფრო და უფრო ხშირად მეორდება, რომ საქართველო და მოლდოვა არიან აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ლიდერები და ამას ამბობენ, არა მარტო ჩვენი დიდი ხნის მეგობრები და თანამესაკნეები ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, არამედ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც და ესეც მისასალმებელია. რამდენჯერმე გავიგონეთ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებისგან, მაგალითად, ბატონი სარკოზისგან, სულ ახლახანს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრ შტუბმაც აღნიშნა მიუნხენში, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, რაც ამდენ ხანს მხოლოდ ბალტიელებისგან, პოლონელებისგან, ჩეხებისგან გვესმოდა. მაგრამ, ვიმეორებ, რომ დღეს ამ თემის შესახებ ევროკავშირში არ არის კონსენსუსი, თუმცა, ეს

პროცესი დაძრულია. მოგეხსენებათ, ევროკავშირი თავისთავად ძალიან რთული მექანიზმია.

შარშან მიღწეული წარმატებები და 2012 წლის დასაწყისიც გვაფიქრებინებს, რომ ეს იქნება საკმაოდ მნიშვნელოვანი წელი. ველოდებით ძალიან მნიშვნელოვან ვიზიტებს მარტში და ივნისში ე.წ. მობილურობის კუთხით. 2012 წლის ზაფხულამდე უნდა დაიწყოს ე.წ. ვიზა-დიალოგი საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რომლის საბოლოო შედეგიც უნდა იყოს უვიზო მიმოსვლა საქართველოსა და ევროკავშირს შორის. ივნისში ან ივლისის დასაწყისში ამ საკითხებზე ველით ევროკომისრის ჩამოსვლას საქართველოში, რათა გაჟღერდეს ეს გადაწყვეტილება. იმედი გვაქვს, რომ წლის ბოლომდე ასოცირების შეთანხმების თავების უმეტესობას შევათანხმებთ, დღეისთვის, უკვე შეთანხმებულია 75-80% თავებისა. რაც შეეხება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ შეთანხმებას, ისიც, ალბათ, საკმაოდ სწრაფად წარიმართება იმის გათვალისწინებით, რომ ორწელიწადნახევრის განმავლობაში ვმუშაობდით ამ მოლაპარაკებების დასაწყებად. წამოყენებული გვქონდა საკმაოდ სერიოზული წინაპირობები, რასაც არ ჰქონია ადგილი ზოგიერთი სხვა ქვეყნის შემთხვევაში. მაგრამ, თუკი, ამ ქვეყნებს მოლაპარაკებების წარმართვისთვის 3-4 წელი დასჭირდათ, ჩვენს შემთხვევაში, თავად ევროკავშირის წარმომადგენლების თქმით, სავაჭრო კომისიის ნათქვამს მოგახსენებთ, ეს მოლაპარაკებები არ უნდა გაგრძელდეს ძალიან დიდხანს... იმედი გვაქვს, რომ მას ორ წელზე ნაკლები დასჭირდება.

ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ შორეულ თუ საშუალოვადიან პერსპექტივაში წევროპის საკითხი გადაწყვეტილია. ჩვენი დისკუსიის თემაა: საქართველოს ევროპული მომავალი. ჩვენზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. მაქსიმალურად უნდა გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ არ მივცეთ საბაბი სკეპტიკურად განწყობილ ქვეყნებს და ადამიანებს, რათა მიგვითითონ იმაზე, რომ საქართველო არ არის მზად წევრობისათვის. უნდა განვაგრძოთ რეფორმები და ჩვენი ქვეყანა უნდა გავხადოთ კიდევ უფრო დემოკრატიული, კიდევ უფრო განვითარებული ეკონომიკური თვალსაზრისით და კიდევ უფრო მიმზიდველი. ეს შეიძლება ბრტყელ სიტყვებად მოგესმათ, მაგრამ, ეს ამ პროცესში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. მაგრამ, როგორც ბატონმა ვერჰოიგენმა აღნიშნა, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი... ძალიან მნიშვნელოვანია თავად ევროპის კავშირის შიგნით მიმდინარე პროცესები და ის იდეოლოგიური, პოლიტიკური დებატები ევროკავშირის მომავალსა და გაფართოების თემაზე, რომლებიც ევროპის კავშირის შიგნით დღეს მიმდინარეობს. ეს კრიტიკად არავინ უნდა მიიღოს, საქართველოში, როგორც ყველა ქვეყანაში, გარკვეული ეთნოცენტრიზმია. ჩვენ გვაინტერესებს, თავად რას ვაკეთებთ, რას აკეთებს ჩვენი მთავრობა, რაც ძალიან ბუნებრივია, ძალიან ჯანსაღია მიდგომა, რომ შენს მთავრობას უფრო მეტი მოსთხოვო, მაგრამ, კარგია მიმდინარე პროცესების ერთიანი სურათი შეიქმნას და უფრო მეტად დავინტერესდეთ და დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი შეხვედრის მიზანიც ეს უნდა იყოს, რომ გავიგოთ, რა აზრზე არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები გაფართობასთან დაკავშირებით.

როგორც იცით, საკმაოდ მძიმე ფინანსური და ეკონომიკური კრიზისია ევროკავშირში და დღევანდელი მიდგომა ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში არ უწყობს ხელს გაფართოების საკითხის პოზიტიურად გადაჭრას. სამწუხაროდ, როგორც ბატონმა ვერჰოიგენმა აღნიშნა, გაფართოების ბოლო ტალღა ევროკავშირში 2004-2007

წლებში წარმოჩენილი იქნა როგორც პრობლემური. არადა, სინამდვილეში, ეს შეიძლება არასამართლიანად მოგვეჩვენოს, იმიტომ, რომ გაფართოება მართლაც წარმატების ისტორია იყო. ჰკითხეთ ამის შესახებ მოსახლეობას ცენტრალური ევროპის და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, თუ როგორ აღიქვამენ სიტუაციას, თუ რამდენად გაუმჯობესდა მათთვის, ყოველდღიური ცხოვრებიდან დაწყებული გარემოს აღქმა. მეორე რიგში, ჩემი პირადი აზრით, საკმაოდ უსამართლოა მტკიცებები იმის შესახებ, რომ ეს კრიზისი გამოწვეულია გაფართოებით. იმიტომ, რომ არც ერთი ახლადშესული ქვეყანა არ არის პასუხისმგებელი მიმდინარე პროცესებზე. ეს პროცესები ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო, მაშინ როდესაც, ეს ქვეყნები საერთოდ არ მოიაზრებოდნენ როგორც წევრები. 90-იან წლებში ეს პროცესები უფრო გაღრმავდა და როდესაც ეს ქვეყნები ევროკავშირის წევრები გახდნენ, ეს პროცესები არ ჩანდა, მაგრამ, კრიზისი მაინც საკმაოდ ღრმად იყო წასული.

მეორე მხრივ, არის აზრი, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, იმის შესახებ, რომ რაც უფრო ფართოვდება ევროკავშირი, გადაწყვეტილების მიღება უფრო რთულდება. ჩემი აზრით, ესეც მცდარი აზრია, იმიტომ, რომ გაფართოების ყოველ ტალღას თან სდევდა ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება. ინტეგრაციის გაღრმავებისკენ მიმართული ყველა ხელშეკრულება, მაასტრიხტისაც, ლისაბონისაც, სდევდა ქრონოლოგიურად გაფართოებებს. დღეს ევროკავშირი, მიუხედავად იმისა, რომ 27 წევრი ქვეყნისაგან შედგება, ბევრად უფრო ინტეგრირებულია, ვიდრე მაშინ, როდესაც ევროკავშირში სულ 12 ქვეყანა იყო. კიდევ უფრო ნაკლებად ინტეგრირებული იყო, როცა მხოლოდ 6 ქვეყანა იყო მასში. ამიტომ, მტკიცება იმის შესახებ, რომ გაფართოება ხელს უშლის გადაწყვეტილებების მიღებას, მცდარია. მაგრამ, ძალიან ადვილად გასაგებია ყველასთვის, რომ ყველა ეს პრობლემა ნაწილობრივ მაინც დაბრალდეს ამ პროცესს, იგივე, იმიგრაციის პრობლემაც. ვიდრე, ევროკავშირის პოლიტიკურ ელიტას ბევრ ქვეყანაში არ ექნება გამბედაობა იმის სათქმელად, რომ იმიგრაცია არ არის პრობლემა და პირიქით, ის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია, და, ამას არ დაუმტკიცებს საკუთარ ამომრჩეველს, ეს, ყოველთვის იქნება პრობლემა. დღეს, მაგალითად, მოლაპარაკების ყოველ რაუნდზე გვეუბნებიან, რომ ძალიან ბევრი ტექნიკური პირობა შევასრულეთ უვიზო მიმოსვლაზე საუბრის დასაწყებად, მაგრამ, პოლიტიკურად ისინი ამას ვერ გაყიდიან თავიანთ ელექტორატთან, იმიტომ, რომ ძალიან ღრმად არის გამჯდარი მოსაზრება, რომ იმიგრაცია პრობლემას უქმნის ამ ქვეყნების განვითარებას. ამ თემაზე ბევრი კარგი წიგნი და სტატია შეგიძლიათ წაიკითხოთ... ამიტომ, დღეს გაფართოებაზე ლაპარაკი ცოტა ძნელია.

სავსებით ვეთანხმები ბატონ ვერჰოიგენს იმაში, რომ ეს არ უნდა იყოს ჩვენთვის პესიმიზმის მიზეზი, იმიტომ, რომ ყველაფერი იცვლება. თუკი დავაკვირდებით, 90-იანი წლებში მიმდინარე პროცესებს, მაგალითად, 1994 წელს, ვერც ერთი ის ქვეყანა, რომელიც 2004 წელს გახდა ევროკავშირის წევრი, ვერ იფიქრებდა, რომ ათ წელიწადში ევროკავშირის წევრი გახდებოდა. ენა, რომელსაც იყენებდნენ ბრიუსელში ამ ქვეყნების მიმართ სხვადასხვა დოკუმენტებში, ბევრად უფრო მოკრძალებული იყო იმასთან შედარებით, რაც ჩვენ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს დღეს გვაქვს. რა თქმა უნდა, კონიუნქტურა გაფართოების თვალსაზრისით ძალიან ცუდია, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ათ წელიწადში, ან ცოტა უფრო ნაკლებში ან მეტში, იგი არ შეიცვალოს. დღეს დომინირებს

კონსერვატიული მიდგომა, რომ გაფართოება არის პრობლემა, რომ ევროკავშირი უნდა იყოს კლუბი მდიდარი ხალხისთვის და კარგად აღზრდილი ჯენტლმენებისთვის და რომ ისინი არ არიან მზად გაფართოებისთვის. მაგრამ, ამავე დროს, როდესაც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ვაკვირდებით, ვხედავთ, რომ ევროკავშირს სერიოზული გამოწვევა აქვს ნაკლებად უფრო დემოკრატიული პოლუსებისგან, ავიღოთ, მაგალითად, რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, და ამ ქვეყნებს, ეკონომიკური განვითარების ტემპები ბევრად უფრო სწრაფი აქვთ და ბევრად უფრო ნაკლებად მორცხვები არიან საგარეო პოლიტიკაში, ვიდრე ევროკავშირი.

ჩვეთვის, ისევე როგორც, აღმოსავლეთ პარტნიორობის ნებისმიერი ქვეყნისთვის, ძლიერი, ამბიციური ევროპა არის შანსი. ყველაფერი, რაც ხელს შეუწყობს ინტეგრაციულ პროცესებს ევროპის შიგნით, ევროკავშირის სტრუქტურების გაძლიერებას და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კიდევ უფრო მეტად ამბიციურად გადაქცევას, ჩვენთვის მისაღებია. იმიტომ, რომ სხვა რეგიონი ინტეგრაციული თვალსაზრისით არ გვაინტერესებს. იმიტომ, რომ ევროპის ნაწილი ვართ არა მარტო გეოგრაფიულად, და არც ამის შესახებ ყოფილა კონსენსუსი თხუთმეტიოდე წლის წინ... არცთუ ისე ახალგაზრდა ვარ... მაშინ, ჯერ კიდევ საფრანგეთში ვცხოვრობდი. კავკასია ენციკლოპედია ,,ბრიტანიკის'' მიხედვით აზიაში იყო. ყველას ავიწყდება მარტივი გარემოება, რომ გეოგრაფიული საზღვრები ევროპასა და აზიას შორის არ არსებობს. ყველა საზღვარი პირობითია, ადამიანების მიერ დაწესებული და კონვენციებზე, კულტურაზე, პოლიტიკაზე დაფუძნებული. და ის საზღვრები, რომლებიც ვითომ გეოგრაფიულია, ვთქვათ, ურალის ქედი, ან ბოსფორის სრუტე, ორივე, ადამიანის მიერ შექმნილ კონვენციებს ეყრდნობა. ურალის ქედი მიიჩნიეს საზღვრად, იმიტომ, რომ პეტრე პირველს უნდოდა, რომ რუსეთის დიდი ნაწილი ყოფილიყო ევროპის ნაწილი და გეოგრაფ ტატიშევს შეუკვეთა ასე. ბოსფორი კი, კონტინენტებს კი არა, ქალაქსაც კი არ ჰყოფს. სტამბოლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ყოველდღე გადადის ერთი ნაწილიდან მეორეში. ამიტომ, კავკასია არის თუ არა ევროპა, ესეც პოლიტიკის და გარკვეულწილად კულტურის, იდენტურობის და თვითშეგნების გადასაწყვეტია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ევროპის ნაწილი ვართ და სხვა შეთავაზებები არ გვაინტერესებს.

ჩემს მოხსენებას ერთი ოპტიმისტური ნოტით დავასრულებ. ათიოდე წლის წინ, ჟენევაში ვიყავი მიწვეული როგორც ექსპერტი კავკასიის საკითხეში. ჟენევაში აკრედიტებულ საკმაოდ მრავალრიცხოვან დიპლომატიურ კორპუსს განსაკუთრებით აინტერესებდა ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენები. როდესაც მოვრჩი საუბარს, ერთი, ძალიან სიმპატიური, გამოცდილი დიპლომატი ადგა და მკითხა, გასაგებია ეს ყველაფერი, მაგრამ, ესენი ხომ არასოდეს ჩვენს კარზე არ დააკაკუნებენ, რომ ევროკავშირის წევრები გახდნენო. ასეთი წარმოდგენა, რომელიც ათი წლის წინ ძალიან იყო გავრცელებული, დღეს უკვე ნაკლებად გვხვდება. ეს იყო ის ოპტიმისტური ნოტა, რომლითაც მსურდა დამემთავრებინა ჩემი გამოსვლა. დიდი მადლობა.

**ნინო ლეჟავა** - დიდი მადლობა ბატონო თორნიკე, ასეთი, მართლაც, ოპტიმისტური პოზიციისათვის. ერთ პატარა რაღაცას გავიხსენებ. ბატონმა თორნიკემ აღნიშნა, რომ ის არც ისე ახალგაზრდაა. ჩვენ სულ ახლახანს თავიდან გავიცანით ერთმანეთი. სწორედ ოცი წლის წინ ერთად ვაბარებდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების


HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

ფაკულტეტზე. როდესაც ვაბარებდით, ითვლებოდა, რომ ეს ფაკულტეტი უნდა გამხდარიყო საქართველოსთვის დიპლომატიური კადრების სამჭედლო. დღეს, ბატონ თორნიკეს ვხედავთ როგორც ქართველ დიპლომატს. საქართველოს ევროპული პერსპექტივა, ალბათ, იმაშიც მდგომარეობს, რომ ქართველმა სტუდენტებმა და ახალგაზრდებმა, რომლებიც ამ დარბაზშიც იმყოფებიან, თავიანთი პერსპექტივა თავიანთ ქვეყანაშიც დაინახონ განათლების სისტემაში.

ახლა ქალბატონ ქეთევანს მოვუსმინოთ.

**ქეთევან ციხელაშვილი** - მოგესალმებით. მადლობას მოვახსენებ ორგანიზატორებს მოწვევისთვის. მეც მაქვს გამოწვევა, რომ ორი საკმაოდ საინტერესო გამოსვლის შემდეგ მცირე დროში ჩავეტიო, რათა საშუალება მივცე აუდიტორიას დაგროვილი კითხვები დასვას და დღევანდელი შეხვედრა დისკუსიის რეჟიმში გადავიყვანოთ. ვეცდები, სამოქალაქო საზოგადოების პოზიციიდან რამდენიმე ხედვა გაგიზიაროთ. ცხადია, მთლიანად საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სახელით ვერ ვისაუბრებ, მაგრამ, შემიძლია მოგახსენოთ იმაზე, რა როლი შეიძლება ითამაშოს სამოქალაქო საზოგადოებამ დღეს საქართველოში და რა ხედვები არსებობს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ აუდიტორიაში ბევრმა ამის შესახებ იცის, მაგრამ, მაინც ძალიან მოკლედ მოგახსენებთ, თუ რას წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა. სულ ახლახანს ჩემმა კოლეგებმა გამომიცხადეს ნდობა და ამ პლატფორმის თავმჯდომარედ ამირჩიეს.

2009 წლის მაისში, როდესაც პრაღის სამიტზე გაცხადდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიცირების შესახებ, ევროკავშირმა ერთ-ერთ ამოცანად დაასახელა სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაფართოება, მისი გაძლიერება და სამოქალაქო საზოგადოებასა და შესაბამისად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ხელისუფლებებს შორის პარტნიორობის ხელშეწყობა. აღმოსავლეთის პარტნიორობის ექვსივე ქვეყანაში ჩამოყალიბდა ეროვნული პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს ძალიან ბევრი განსხვავებული პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის გაერთიანებას. საქართველოს შემთხვევაში ის აერთიანებს საერთაშორისო ფონდებსაც. დღევანდელი ჩვენი მასპინძელი, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის რეგიონული ოფისიც ეროვნული პლატფორმის წევრია. ამ ორგანიზაციებს აერთიანებს ორი რამ: ძირითადი მიზანი, ევროინტეგრაციაში, ევროინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობაში გამოიხატება, ყოველ შემთხვევაში, ორგანიზაციების უმრავლესობა ამ მიზანს იზიარებს, და მეორე - ეს ორგანიზაციები მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებებით, რაც ეხმიანება აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკურ პრიორიტეტებს. ფუნქციონირებს ოთხი ძირითადი თემატური პლატფორმა: 1. სტაბილურობა, დემოკრატია და კარგი მმართველობა; 2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის ნორმებთან და რეგულაციებთან ჰარმონიზაცია; 3. ენერგეტიკული უსაფრთხოება და გარემოს საკითხები; 4. ადამიანებს შორის კონტაქტი, რომელიც ძალიან ფართო სფეროს მოიცავს, მათ შორის განათლებას, კულტურას და ა.შ.

ეროვნულ პლატფორმებს, ექვსივე ქვეყანაში, ძალიან განსხვავებული კონტექსტი და სივრცე აქვთ მოქმედებისათვის. როდესაც სივრცეზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ წვდომას პოლიტიკასა და პოლიტიკის ფორმირებაში თანამონაწილეობისათვის. ზოგიერთ ქვეყანაში ეს გარემო ძალიან რთულია და


HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

ხშირად რეპრესიულიც. ზოგან თავისუფლების მეტი ხარისხია სამოქალაქო საზოგადოების სექტორისათვის, მაგრამ, ევროკავშირის ინიციატივა და მზარდი მხარდაჭერა ეროვნული პლატფორმებისა და მათი დამატებითი ინსტრუმენტებით აღჭურვა მიანიშნებს, რომ გარკვეული გამოწვევები ყველა ქვეყანაში არსებობს და ეს სივრცე უნდა გაიზარდოს.

საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში დღეისათვის 98 ორგანიზაცია გახლავთ გაწევრიანებული. არის მსურველების დიდი ნუსხაც. ინტერესი სულ უფრო იზრდება. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ ხშირად, პლატფორმა არის პლურალისტური დისკუსიების ადგილიც. მოსაზრებები განსხვავებულია და ეს ძალიან კარგია, რომ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს სამოქალაქო სექტორში, თუმცა, განწყობა რომ დაგანახოთ, გეტყვით, რომ ზოგადად, ეროვნული პლატფორმა სარკისებურად ასახავს საზოგადოებაში არსებულ განწყობებს. ვგულისხმობ იმას, რომ საქართველოში წლების განმავლობაში ევროპას, ევროკავშირს და ევროინტეგრაციას ძალიან დიდი მხარდაჭერა აქვს. ბოლო გამოკითხვებით, რომლებიც 2009-2011 წლების შედეგებს ასახავდა, მოსახლეობის 79-80%-მა უპასუხა, ხვალ რომ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ რეფერენდუმი ტარდებოდეს, ისინი ამას პოზიტიურად უპასუხებდნენ, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. ბატონმა თორნიკემ ახსენა, რომ მოლდოვეთი და საქართველო ითვლება ლიდერებად ამ პროცესებში, მაგრამ, მოლდოვეთში ანალოგიური მაჩვენებელი 68%-ია, რომელიც ასევე მაღალია, თუმცა, საქართველოში უმრავლესობა ძალიან სერიოზულად უჭერს ამ პროცესს მხარს. პლატფორმა ეხმიანება არა მარტო საზოგადოებრივ აზრს, არამედ ინტერესსაც. იმიტომ, რომ აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა ძალიან დიდმა ნაწილმა ბევრი რამ არ იცის ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესზე. მოთხოვნა და დაკვეთა, რომ მიიღონ მეტი ინფორმაცია და გაზარდონ თავიანთი ჩართულობა, ნამდვილად არსებობს.

ის, რომ საქართველოში ამდენი ორგანიზაციაა დაინტერესებული ევროპული ინტეგრაციის პროცესით, არ არის გასაკვირი, იმიტომ, რომ პოლიტიკურ დონეზე ცალსახად არის გაცხადებული, როგორც საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი. ამ საკითხზე კონსენსუსი არსებობს საზოგადოების სხვა სეგმენტშიც. მაგალითად, პოლიტიკური პარტიებისთვისაც, რომლებიც საქართველოში ხშირად არ გამოირჩევიან აზრთა თანხვედრით, ევროპული ინტეგრაცია ალბათ ერთადერთი თემაა, რაზეც თანხმდებიან.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სექტორის ძალიან დიდი ნაწილი, რომელსაც მეც მივეკუთვნები, საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციას უკავშირებს იმ ღირებულებებს, რაზეც, ალბათ, საზოგადოებაში კიდევ უფრო ფართო კონსენსუსი არსებობს და ეს არის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კურსი, დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა. სპეციალურად ვახსენე "კურსი" და არა "მოდელი", იმიტომ, რომ მოდელებზე ძალიან ბევრი დისკუსია იმართება საქართველოში და ვიცით, რომ თავად ევროკავშირშიც მრავალი მოდელი არსებობს... როდესაც ძირითადი პრინციპები დაცულია, საქართველოსათვის, ევროპასთან ინტეგრაციისა და დემოკრატიული განვითარების პროცესები სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივით, ანალოგიურია... ეს საკითხი უკავშირდება უსაფრთხოებასაც, მით უმეტეს, ისეთ რთულ გარემოში, როგორშიც გვიწევს ყოფნა. უსაფრთხოებას არ მოვიაზრებ მისი, მხოლოდ, ხისტი გაგებით. ცხადია, არსებობს საფრთხეები. ევროკავშირი სხვადასხვა ფორმატით არის ჩართული კონფლიქტების

მოგვარებაში, არსებობს მონიტორინგის მისია, რომელიც გაგრძელდება. აქვე არ შემიძლია არ ვთქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს მისია ძალიან წარმატებულია, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, მაინც რჩება ნახევრად ამოქმედებულ მექანიზმად საკუთარ მანდატთან მიმართებაში, რამდენადაც არა აქვს წვდომა კონფლიქტის რეგიონის მეორე მხარეს. თუმცა, იმედია, რომ ევროკავშირის პოტენციალი ამ მიმართულებით გაცილებით უფრო დიდია და ალბათ, მომავალში მისი ჩართულობა კიდევ უფრო გაიზრდება. მაგრამ, უსაფრთხოებაზე საუბრისას სხვა ტიპის საფრთხეებსაც ვგულისხმობ. სამეზობლოში ძალიან ბევრ ადგილას განვითარება და მოდერნიზაცია ნამდვილად აღარ გულისხმობს დემოკრატიზაციას. ამიტომ, ჩვენთვის, ევროპული ინტეგრაციის მხარდამჭერი ორგანიზაციებისათვის, ევროპისაკენ სწრაფვა, ფაქტობრივად, არის ის მაკავშირებელი რგოლი, რაც ამ პროცესს ერთმანეთთან აკავშირებს. გნებავთ, დავარქვათ ამას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიზაციის გადაზღვევის სტრატეგია. აქედან გამომდინარე, იგი უალტერნატივოა.

დღეისთვის, ის სტიმული, რომელიც თავის დროზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაწევრინებისთვის არსებობდა, გვესმის, რომ არ არსებობს, მაგრამ, მაინც ვფიქრობთ, რომ არსებული ინსტრუმენტებისა და ფორმატების გამოყენების შემთხვევაში ნამდვილად შეიძლება ევროპის ძალიან ძლიერი ე.წ. რბილი ძალაუფლების გამოყენება იმისათვის, რომ კონკრეტული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური შედეგები იქნეს მიღწეული საქართველოს მოქალაქეებისათვის მრავალმხრივ თუ ორმხრივ ფორმატებში... მით უმეტეს, რომ ევროკავშირი დაგვპირდა "მეტი მეტისთვის" პრინციპით თანამშრომლობას. რაც, ცხადია, მიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ევროპულ მისწრაფებას პრიორიტეტულად განიხილავენ.

სამოქალაქო საზოგადოებას ამ პროცესებში ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს. მაგრამ, რას ნიშნავს ეს ჩართულობა? ის, პირველ რიგში იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოება ინფორმირებული იყოს, ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე მიმდინარე პროცესების შესახებ, რათა განახორციელოს სხვა დანარჩენი ფუნქციები, როგორიც არის, ამ პროცესის მონიტორინგი და შეფასება, კონკრეტული წინადადებებისა და ინიციატივების შემუშავება და საბოლოოდ, ჰქონდეს საშუალება იმისა, რომ ეს წინადადებები წარადგინოს და შევიდეს ე.წ. პოლისი-დიალოგში გადაწყვეტილებების მიმღებთან, რათა კონკრეტული შედეგი იქნეს მიღწეული.

ეროვნული პლატფორმა და მისი განახლებული საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც პლატფორმის კოორდინირება ევალება გარკვეული პერიოდით, უკვე განიხილავს სტრუქტურული დიალოგის ჩამოყალიბების სამმხრივი - ევროკავშირი, საქართველოს ხელისუფლება, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება - ფორმატის შესაძლებლობას. ჩვენ ასევე ვართ დაინტერესებულნი, რომ შესაბამის უწყებებთან, როგორიც არის სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საგარეო საქმეთა სამინისტროში ბატონი თორნიკე ხელმძღვანელობს ამ მიმართულებას, ასევე, პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტთან რეგულარული გაცვლა გვქონდეს. იგივე პროფილურ სამინისტროებთან, სადაც არიან პასუხისმგებელი პირები და ა.შ. მინდა ვისარგებლო დღევანდელი შეხვედრით და ბატონ თორნიკეს ვთხოვო მხარი დაუჭიროს ამ ინიციატივას,რათა გავაფართოვოთ ჩვენი თანამშრომლობა. მით უმეტეს, რომ ძალიან დატვირთული წელი მოდის და ეს წელი მნიშვნელოვანია საქართველოსათვის არა

მხოლოდ ევროპასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ მოდის არჩევნები და ყველას გვესმის, რომ ეს არის საეტაპო მნიშვნელობის პერიოდი.

ის დასკვნა, რომელიც დღეს არა ერთხელ ახსენეს, ძალიან კარგად გამოხატავს ყველა იმ პრიორიტეტს, რაზეც საქართველოს სამოქალაქო სექტორი განსაკუთრებულ ფოკუსირებას გააკეთებს. ცხადია, დემოკრატიის კონსოლიდაციის თემა, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები, მედია და სასამართლო, ასევე იქნება ფოკუსში. მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს შეხვედრა ეროვნული პლატფორმის წევრ რამდენიმე ორგანიზაციასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის იმ საკანონმდებლო წინადადებების პაკეტზე, რომლითაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა ცოტა ხნის წინ მიმართეს პარლამენტს. კამპანიაში სახელწოდებით ,,ეს შენ გეხება'', რომელიც ახლაც მიმდინარეობს, ძალიან ბევრი არასამთავრობო და მედია ორგანიზაცია მონაწილეობს და მიმართულია იმისაკენ, რომ საქართველოში შეიქმნას თავისუფალი და კონკურენტული საარჩევნო გარემო. ხვალ კიდევ იმართება ერთი შეხვედრა და ძალიან კარგია, რომ ხელისუფლების მრიდან არსებობს მზაობა მოისმინოს მოსაზრებები და არგუმენტები, რაც არსებობს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. იმედია, მზაობას შედეგებიც მოჰყვება. სამოქალაქო საზოგადოებას, ყოველ შემთხვევაში, ეროვნული პლატფორმის ძალიან ბევრ წევრს, რომელიც შეუერთდა ამ კამპანიას, არ ამოძრავებს პოლიტიკური, სუბიექტური მოსაზრება. ეს არ არის პოლიტიკური გემოვნების საკითხი. ეს არის მხოლოდ ერთი რამ - ყველა პოლიტიკური სუბიექტისათვის, ყველა მოქალაქისათვის იყოს თავისუფალი გარემო აზრისა და სიტყვის გამოხატვისათვის, შეკრების თავისუფლებისათვის და ა.შ.

გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოება იმუშავებს იმ მიმართულებებით, რომლებიც დღის წესრიგში დგას ევროპასა და საქართველოს შორის. მოხარულები ვართ, რომ მოლაპარაკებები დაიწყო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე. საქართველოსთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, იმიტომ, რომ ევროკავშირი საქართველოსთვის ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია. ფაქტობრივად, ჩვენი ექსპორტისა და იმპორტის 20-30% ევროკავშირზე მოდის. აქედან გამომდინარე, მომავალში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გარეშე 500 მილიონიან ბაზარზე წვდომა საქართველოს განვითარებადი ეკონომიკისათვის ძალიან მნიშვნელოვანი სტიმულია. გვესმის, რომ მოლაპარაკებები ძალიან კომპლექსური პროცესია და შედეგის მიღწევა, გარდა პოლიტიკური ნებისა, რომელიც უკვე გამოიხატა, დამოკიდებულია იმ პროგრესზე, რომელიც იქნება საქართველოს კონკრეტული რეფორმების მიმართულებით.

სამოქალაქო საზოგადოებამ წინა წლების განმავლობაში ძალიან დიდი მონაწილეობა მიიღო იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც ცოტა პრობლემურად განიხილებოდა და სასიხარულოა, რომ პროგრესი ამ მიმართულებით არსებობს. ეს ეხება სურსათის უვნებლობის, კონკურენციის კანონმდებლობას და ა.შ. სამოქალაქო სექტორი მომავალშიც აპირებს სერიოზულ თანამშრომლობას... ეროვნულ პლატფორმაში ძალიან საყურადღებო ექსპერტიზაა ამ მიმართულებით და თანამშრომლობის შემთხვევაში, პროცესები მხოლოდ დაჩქარდება, რაც საქმეს მხოლოდ წაადგება...

როდესაც პროცესების მონიტორინგზე ვსაუბრობთ, თუკი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაში ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო უფრო მეტად არის დაინტერესებული, ვიდრე

ევროკავშირი, ეს იმიტომ, რომ საქართველოსთან ვაჭრობის წილი თვითონ ევროკავშირის ვაჭრობის სტრუქტურაში ძალიან მცირეა და შესაბამისად, პასუხისმგებლობის ტვირთი მოდის საქართველოს ხელისუფლებაზე. მაგალითად, არის ზოგიერთი სხვა შეთანხმება, სადაც ასეთი ტვირთი მოდის ევროკავშირის მხარეზე. დღეს ვსაუბროობდით მობილურობისა და უვიზო მიმოსვლის პერსპექტივებზე, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ყველა მოქალაქეს ეხება და ხელშესახები შედეგი იქნება თანამშრომლობის ფორმატიდან გამომდინარე... დღეისთვის გვაქვს გამარტივებული სავიზო რეჟიმი ევროკავშირთან... ზუსტად ერთი წლის წინ ამოქმედდა ეს ხელშეკრულება რეადმისიის ხელშეკრულებასთან ერთად. ჩვენი ორგანიზაცია აკვირდება ამ პროცესებს, თუ როგორ სრულდება ეს ხელშეკრულება, რა ტიპის პრობლემებია და მინდა გითხრათ, რომ პროგრესთან ერთად არსებობს გამოწვევებიც... მაგალითად ის, რომ ევროკავშირის სამი ქვეყნის საკონსულო საერთოდ არ არის საქართველოში და არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი წესით არ ემსახურება საქართველოს მოქალაქეებს, ძალიან აძვირებს და ართულებს სავიზო აპლიკაციებს ჩვენი მოქალაქეებისათვის. არის პრობლემები როგორც ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ისე ე.წ. ევროპის სავიზო კოდექსიდან გამომდინარე, რომელიც 2010 წლის აპრილში ამოქმედდა და განსაზღვრავს სავიზო პროცედურების ძირითად წესებს. ისევ გვაქვს პრობლემები იმასთან დაკავშირებით, რომ ხელმისაწვდომი არ არის მომსახურება მშობლიურ ენაზე, რაც სავიზო კოდექსით არის გათვალისწინებული. ეს, იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ან ევროკავშირის რომელიმე სხვა ენას, ძალიან ართულებს ვიზაზე განაცხადის შეტანის პროცედურას. ზოგიერთ საკონსულოში არ არის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, არის ცოცხალი რიგები და ა.შ. როგორც ჩანს, ამასაც დრო სჭირდება, რომ ევროკავშირის მხარემ იმპლემეტაცია სრულად შეიყვანოს ძალაში და თუნდაც იმ კატეგორიებისათვის, რომლებიც არის სავიზო ხელშეკრულებით გათვალისწინებული, გაამარტივოს ვიზების გაცემა, როგორც ეს ჩვენი კვლევის თანახმად, ხშირად არ ხდება.

და ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი ვიზებთან დაკავშირებით. ბატონო თორნიკე, ალბათ, თქვენც წამოჭრით ამ საკითხს მარტში კომისიაზე - საქართველოში ვიზაზე უარის თქმის სტატისტიკა ძალიან შემაშფოთებელია. 2009 წლის მონაცემებით, იგი 17,2%-ია, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. 2010 წელს იგი 14,6% გახლდათ. საქართველო ამ მაჩვენებლით მთლიანად აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში და რუსეთთან შედარებითაც ლიდერია. რუსეთსა და ბელორუსიაში ეს მაჩვენებელი 1%-ზე ან მის დაბლა მერყეობს. ჩვენი მაჩვენებელი არ ასახავს თანამშრომლობის პოლიტიკურ პრიორიტეტს. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია ასეთი ტიპის საკითხებით და კვლევებით დაკავდეს და რეკომენდაციები და წინადადებები გაუზიაროს გადაწყვეტილებების მიმღებ მხარეებს. ეს პროცესს, ალბათ, მხოლოდ წაადგება. ჩვენ კონსულტაციას გავდივართ როგორც ევროკავშირთან, ისე ხელისუფლებასთან... ცოტა ხანში უფრო კონკრეტული წინადადებებით მოგმართავთ, რა ტიპის ფორმატი შეიძლება მოვძებნოთ ამ სტრუქტურული დიალოგისათვის, იმიტომ, რომ ნამდვილად არის მზაობაც და შესაძლებლობაც იმისათვის, რომ აქტიური როლი ვითამაშოთ ამ პროცესში. დიდი მადლობა.

**ნინო ლეჟავა** - დიდი მადლობა ქალბატონო ქეთი. მე სამივე მოხსენებელთან მაქვს კითხვები, მაგრამ, ჯერჯერობით თავს შევიკავებ და შესაძლებლობას მოგცემთ თქვენ გამოხატოთ მოსაზრებები.

- (დარბაზიდან) გამარჯობა. მინდა რამდენიმე კითხვა დავუსვა ბატონ გორდაძეს. ეს პროცესი ხუთი წლის წინ დაიწყო უკრაინაში... ასოცირების ხელსეკრულების შესახებ მოლაპარაკებები სწორედ მაშინ მიმდინარეობდა და გარკვეული წინსვლა არსებობს ჩვენთან... თქვენ თქვით, რომ დაახლოებით ორი წელი დაგჭირდებათ ასოცირების ხელშეკრულებისთვის. გამოიკვეთა ამ პერიოდში რაიმე კონკრეტული პრობლემები ამ პროცესში? ასევე, მაინტერესებს, თუ გაქვთ გაკეთებული კალკულაცია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით... იცით, რას მოგცემთ ეს ხელშეკრულება?

რაც შეეხება უვიზო რეჟიმს, როდისთვის ფიქრობთ ევროკავშირისგან თანხმობას უვიზო რეჟიმზე?

და ბოლო კითხვა - თუ აწარმოებდით მოლაპარაკებებს ან კონსულტაცია თუ გქონდათ უკრაინელ კოლეგებთან ამ საკითხზე. ამას იმიტომ ვკითხულობ, რომ გარკვეული გამოცდილება ჩვენც გვაქვს ამ საკითხებზე.

**თორნიკე გორდაძე** - გმადლობთ შეკითხვისთვის. თქვენი შეკითხვა რამდენიმე ნაწილად შეიძლება დაიყოს, ძირითადი ნაწილი ვადებს ეხებოდა. რა თქმა უნდა, ყველა ხელშეკრულებაში ორი მხარეა. ერთია, ჩვენი იმედები და სურვილები, მეორეა - თავად მოლაპარაკების პროცესი და საბოლოო შეთანხმება. ხანდახან ბოლო დეტალებს საკმაოდ დიდი დრო მიაქვს. ეს თავადაც კარგად მოგეხსენებათ. ალბათ, გახსოვთ ბოლო რამდენიმე თვე როგორი ინტენსიური იყო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებისას.

შემიძლია გითხრათ, რას მოველით ჩვენ... შემდეგ რეალობა აჩვენებს, რამდენად რეალისტურები ვიყავით და რამდენად კარგად ვიმუშავეთ ორივე მხარემ. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და ასოცირებაზე შეთანხმება საქართველოსთვის ერთ პაკეტშია. ასოცირებას რაც შეეხება, ფაქტობრივად, როგორც უკვე აღვნიშნე, 80% დასრულებულია ასოცირების ნაწილში. ასოცირების ნაწილი, მოგეხსენებათ, სტრუქტურულად ბევრ სხვადასხვა თავს მოიცავს.

რაც შეეხება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, მოლაპარაკება სულ ახლახანს დაიწყო. მოლაპარაკების წინა პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იყო, რაც უკრაინის შემთხვევაში ასე არ ყოფილა. უკრაინამ წინაპირობების გარეშე დაიწყო მოლაპარაკება. ჩვენ წინაპირობები სწორედ იმიტომ წაგვიყენეს, რომ თქვეს, რომ უკრაინის შემთხვევაში წინაპირობების არარსებობის გამო მოლაპარაკება 5 წელიწადს გაგრძელდა. ეს იყო ევროკავშირის მხრიდან ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ წინა პერიოდი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა ჩვენთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს პროცესი შეიძლება დასრულდეს 2013 წლის ბოლოს, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ მოლაპარაკებებზე და ტექნიკურ მხარეზე არ არის დამოკიდებული. არის პოლიტიკური ფაქტორებიც, პოლიტიკური სურვილი ევროკავშირის მხრიდან. მიუხედავად ყველაფრისა, მიგვაჩნია, რომ ყველაფერი შეიძლება დასრულდეს 2013 წლის ბოლოს.

რაც შეეხება უვიზო რეჟიმს, ამ შემთხვევაშიც მიგვაჩნია, რომ საკმაოდ რეალურია 2-3 წელიწადში მოლაპარაკებების დასრულება. თუმცა, მოლაპარაკებები უფრო ადრეც შეიძლება დასრულდეს, მაგრამ, ვინაიდან ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, ყველა იმ პრობლემის გათვალისწინებით, რაც ახლა ევროკავშირშია, და მიგრაციასთან ზოგად დამოკიდებულებას რაც შეეხება, პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება მისაღები.

რაღა თქმა უნდა, გვაქვს ურთიერთობა ჩვენს უკრაინელ კოლეგებთან, ვიზიარებთ მათ გამოცდილებას. რამოდენიმე შეხვედრა მქონდა პირადად ჩემს კოლეგასთან, რომელიც უკრაინის მხრიდან არის მთავარი მომლაპარაკებელი.

თქვენ ასევე იკითხეთ, სად არის ყველაზე მეტი  პრობლემა. არ არის დასამალი, რომ ასოცირების თავში ყველაზე რთულ ნაწილად ითვლება ნაწილი, რომელიც პერსპექტივებს ეხება. ჯერჯერობით, საკმაოდ განსხვავებული აზრი გვაქვს იმაზე, თუ რა ფორმით უნდა ჩაიწეროს ამ შეთანხმებაში საქართველოს სურვილი, გახდეს ევროკავშირის წევრი. საუბარია, 49-ე მუხლის ხსენებაზე თუ არ ხსენებაზე, თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ, იმიტომ რომ თქვენც და მოლდოველებსაც იგივე გაქვთ გავლილი. ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესია. დაველოდებით, ალბათ, ეს იქნება ყველაზე ბოლო თავი, ასოცირებას რაც შეეხება.

ხოლო, თუ რას მოგვიტანს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, ქალბატონმა ქეთიმაც აღნიშნა, ეს ჩვენთვის არის ევროპული ბაზრის, 500 მილიონიანი ბაზრის გახსნა, რაც ძალიან დიდი იმპულსის მომტანი იქნება ჩვენი ეკონომიკისთვის, ინვესტიციებისთვის, რომელიც საქართველოში შემოვა. ევროკავშირიდან ინვესტორებს ყოველივე ამის შემდეგ უნდა გაუჩნდეთ იმის სურვილი, რომ საქართველოში გადმოიტანონ პროდუქცია, წარმოების პროცესი. ამიტომ არის აუცილებელი, ჩვენი მხრიდან ამ პროცესებში მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ის, რასაც მივაღწიეთ ბოლო წლებში, ბიზნესისადმი ხელსაყრელი გარემო, რომელიც შევქმენით, მთლიანად რომ არ შევწიროთ ამ პროცესებს... აი, ეს წარმოადგენს მოლაპარაკებების მთელ სირთულეს და სიამოვნებაც ამ პროცესისა, რომ მაქსიმალურად დავუახლოვდეთ ევროკავშირის რეგულაციებს და მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ბიზნესისათვის ის ხელსაყრელი გარემო, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა საქართველოში. გმადლობთ.

- (დარბაზიდან) მოგესალმებით ბატონო გიუნტერ, ქალბატონო ნინო. ბოდიშს ვიხდი,  პოლიტიკოსი არ ვარ და შეიძლება შეცდომები დავუშვა... რამდენიმე შეკითხვა მაქვს. მე საქართველოს მოქალაქე ვარ და ჩემთვის, საქართველო და ევროპა უმნიშვნელოვანესი რამ არის ცხოვრებაში... ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს. საქართველოს ტერიტორიის 25% ოკუპირებულია. თუმცა, გვყავს ბევრი ევროპელი მეგობარი, რომელიც წერს, გამოხატავს თავის აზრს, გვეუბნებიან, რომ მზარ არიან გამოგვიწოდონ დახმარების ხელი, რათა გავწევრიანდეთ ევროკავშირში. თქვენ სიტყვა საკმაოდ პესიმისტურად დაიწყეთ. განათლება ბერლინში მივიღე და ნაცნობია ჩემთვის ეს პესიმისტური განწყობა, მაგრამ, ეს განწყობა შეიძლება შეიცვალოს კიდეც.

როგორ ფიქრობთ, ხომ არ უნდა შეცვალოს ევროკავშირმა თავისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ოდნავ პოზიტიური კუთხით? ჩვენ გვჭირდება სავიზო რეჟიმის გამარტივება, გვჭირდება ღრმა და ყოვლისმომცველი

თავისუფალი ვაჭრობა ევროპასთან. როგორ შეიძლება ამ პრობლემების სწრაფად გადაჭრა?

**გიუნტერ ვერჰოიგენი** - თქვენს კითხვაზე შემიძლია მოკლედ გიპასუხოთ - დიახ. გეთანხმებით, აზროვნება, მიდგომა უნდა შეიცვალოს. რა თქმა უნდა, სხვაგვარი მიდგომა შეიძლება იყოს არჩეული. ჩვენ ამასთან დაკავშირებით ერთ აზრზე ვდგავართ. ევროკავშირს არ აქვს ცალსახა სტრატეგია სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებით. ეს ქაღალდზე არ არის გაწერილი, თუმცაღა, ამგვარი სტრატეგია არ არსებობს. ამაზე შეგვიძლია შევთანხმდეთ. ეს შესაძლებელია შეიცვალოს ბრიუსელში, მაგრამ, პოლიტიკური ნების საკითხია. კომისიას შეუძლია უფრო აქტიურად იმუშაოს ამ კუთხით. როდესაც 2004 წელს გავაკეთე თქვენთვის კარგად ცნობილი შეთავაზება, თქვეს, რომ საღად ვერ ვაზროვნებდი. ჩემმა თანამოაზრეებმაც კი თქვეს, რომ ავადმყოფი ვარ, მაგრამ, საბოლოო ჯამში ყველა პროგნოზი გამართლდა. 2010 წელს რეალობა გახდა ის, რაზეც მაშინ ვლაპარაკობდი... პოლიტიკური ნება უნდა არსებობდეს... უნდა შეიქმნას პოლიტიკური მომენტი, როდესაც ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდება. შემიძლია ვახსენო ბაროზო, რომელიც რომანო პროდივით აქტიურად მუშაობდა ამ მიმართულებით. თუ გვსურს, რომ ევროკავშირის ხალხებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში იყოს მშვიდობა შენარჩუნებული, ყველა იმ სახელმწიფოს და ადამიანს უნდა მივცეთ შესაძლებლობა გაწევრიანდეს ევროკავშირში, ვისაც ამის სურვილი აქვს. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ გვინდა, რომ ჩვენს გვერდით იყოთ, ჩვენ გვინდა თქვენთან ერთად ყოფნა.

ბუნებრივია, დღეს არსებული განწყობა უნდა შეიცვალოს. ეს უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების აზროვნების ერთგვარი ტრანსფორმირებით. ის, რასაც თქვენ აკეთებთ, მართლაც შთამბეჭდავია. ძალიან სასიამოვნო იყო იმის გაგონება, რომ 80%-ზე მეტი ქართველებისა მხარს დაუჭერდა ევროკავშირში გაწევრიანებას. ისიც, ვინც დღეს ასე არ ფიქრობს, რაღაც მომენტში მივა იმ აზრამდე, რომ ეს ყველასთვის მნიშვნელოვანია.

გაწევრიანების საკითხი პოლიტიკური გამბედაობის მომენტსაც შეიცავს. უნდა შეიქმნას წინაპირობა ამისთვის. უნდა დადგეს შესაბამისი მომენტი, მაგრამ, ეს მომენტი უნდა შეიქმნას ევროპის სახელმწიფოების დედაქალაქებში. არის ევროკავშირის სახელმწიფოები, სადაც მიიღება გადაწყვეტილებები ევროპის მომავალთან დაკავშირებით. როდესაც ლაპარაკია გაცნობიერებაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი რამ. როდესაც 1999 წელს დავიწყე ჩემი უფლებამოსილების შესრულება, როდესაც დავინიშნე ევროკომისრად ევროკავშირის გაფართოების საკითხებში, შემეძლო მქონოდა ევროპის უდიდესი მმართველების იმედი - გერჰარდ შრიოდერის, შირაკის, ტონი ბლერის, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო, ბერლუსკონიც ზურგს მიმაგრებდა. იმ საკითხებში, რომლებზეც მე ვმუშაობდი, მისი იმედი ნამდვილად შემეძლო მქონოდა. სამწუხაროდ, ჩემს შთამომავლებს ამ პოზიციაზე ეს პრივილეგიები აღარ ჰქონდათ. რა თქმა უნდა, ვერ გავაკრიტიკებ ამ ადამიანებს იმისთვის, რომ რაღაც ვერ გააკეთეს, იმიტომ, რომ შესაფერისი მომენტი აღარ არსებობდა. ქვეყნებში, სადაც მიიღება ევროკავშირისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, ამგვარი განწყობის შექმნა იმთავითვე შესაძლებელია. ერთი ადამიანისთვის ძალიან ძნელი იქნება ამგვარი ცვლილებების ინიცირება, მაგრამ, თუ რამდენიმე ისეთი ადამიანი

შეგროვდება, რომელიც ამ მიმართულებით აიღებს აქცენტს, ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებლად მიმაჩნია.

**ივლიანე ხაინდრავა** - ჩემი შეკითხვა უშუალოდ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობას არ შეეხება, მაგრამ, ევროკავშირს კი ეხება. როგორ მოიქცევა ევროკავშირი, თუ შოტლანდიელებმა რეფერენდუმზე მხარი დაუჭირეს გასვლას გაერთიანებული სამეფოდან და საერთოდ, რა პროცესის მომასწავებელი იქნება ეს გადაწყვეტილება ევროკავშირისთვის?

და ერთი რეპლიკა ბატონ თორნიკეს ერთ-ერთ პასაჟზე - რატომღაც მგონია, რომ საზღვარი ევროპასა და აზიას შორის ბოსფორზე და თუ გნებავთ ურალის მთებზე უფრო ბუნებრივი რამ არის, ვიდრე, საქართველოს სინგაპურიზაცია, რომლითაც ტვინს უმღვრევენ როგორც საქართველოს მოსახლეობას, ისე, ბევრ ევროპელს, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი ევროპასთან ინტეგრაცია. გმადლობთ.

**გიუნტერ ვერჰოიგენი** - შოტლანდია ვერ გამოვა ევროკავშირიდან. ამ შემთხვევაში გასაუქმებელი იქნება მთლიანად გაერთიანებული სამეფო, სხვადასხვაგვარი რეგულაცია იქნება მისაღები. აუცილებელი იქნება უელსის, შოტლანდიის, ირლანდიის დაშლა. თეორიულად, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ვისაც გასვლა უნდა, შეუძლია გავიდეს, ჩვენ არავის ვიჭერთ. ეს გაწერილია კიდეც ხელშეკრულებაში, რომ ვისაც არ სურს დარჩენა, ვერავინ დააძალებს. ჩვენ არ წარმოვადგენთ იმპერიალისტურ წარმონაქმნს, რომელიც ძალადობით ცდილობს მისი წევრების შეკავებას. ჩვენთან, მაგალითად, არის ასეთი პოზიციაც - მოისროლეთ საბერძნეთი, რაში გჭირდებათ, მხოლოდ პრობლემებს გვიქმნის. ვინც ამას ამბობს, ჩემი აზრით, ის ვერ აზროვნებს ნორმალურად. გაჭირვებულის ხელისკვრა და გაგდება გაუმართლებელი იქნებოდა.

**ივლიანე ხაინდრავა** - დავაზუსტებ, გაერთიანებული სამეფოდან გასვლაზე ვიკითხე და არა ევროკავშირიდან.

**გიუნტერ ვერჰოიგენი** - მივხვდი, რაც იგულისხმეთ. შეუძლია დატოვოს დიდი ბრიტანეთი. თუ, დიდი ბრიტანეთი დაიშლება, და თუ, ეს მათთვის მისაღები იქნება, ვერაფერს გავაწყობთ ამის წინააღმდეგ. თუ, ხალხი გადაწყვეტს გაერთიანებული სამეფოს დაშლას, როგორც იუგოსლავია დაიშალა, ალბათ, ამას ვერაფრით შევეწინააღმდეგებით. თუკი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფო მის სტრუქტურას, პოლიტიკურ მოწყობას ცვლის, ეს, ჩვენთვის მისაღები იქნება. თუმცა, ეს არ არის დღეს, ჩვენთვის აქტუალური პრობლემა.

ბოსფორთან და ურალთან დაკავშირებული კითხვა ჩემთვის არ დაგისვამთ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ბოსფორი ნამდვილად არ არის საზღვარი. ეს არის ყველაზე დიდი სისულელე, რაც გამიგია, რომ ვითომ ბოსფორი საზღვარია ევროპასა და აზიას შორის. აბსოლუტური უაზრობაა. ბოსფორი არაფერს არ ჰყოფს, პირიქით, აერთიანებს.

**თორნიკე გორდაძე** - ძალიან ხშირად ისმება კითხვა სინგაპურიზაციასთან დაკავშირებით. მრავალჯერ აღინიშნა, რომ არსად, საქართველოს გეოგრაფიულად გადატანას არ ვაპირებთ. ლაპარაკი იყო მექსიკაზე, არც ინდონეზიისა და


HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

მალაიზიისკენ ვაპირებთ საქართველოს გადატანას. რადგან, საქართველო გეოგრაფიულად ამ რეგიონშია და ევროპის ნაწილია, მიგვაჩნია, რომ ევროპა და ევროპაში ყოფნაა მისი მომავალი. ამას არ სჭირდება ათასჯერ გამეორება. რაც შეეხება თვითონ სინგაპურს, აქ არის რამდენიმე გასათვალისწინებელი კონკრეტული მაგალითი - რთული გეოპოლიტიკური სიტუაცია, რომელშიც სინგაპურმა, პატარა ქვეყანამ, რესურსების გარეშე მოახერხა განვითარება, რაც არის პოზიტიური რეფერენსი... მაგრამ, არა მგონია, თუკი, სტატისტიკურად ავიღებთ საქართველოს მთავრობის წევრების გამონათქვამებს და მოდელებს, სინგაპური უფრო ხშირად იყოს გამეორებული, ვიდრე ევროკავშირი. რეალობა არის ის, რომ ევროკავშირთან დავიწყეთ მოლაპარაკება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნაზე, რეალობაა, რომ ევროკავშირთან გვაქვს ძალიან ინტენსიური ურთიერთობა. ასეთივე ურთიერთობა არ გვაქვს სინგაპურთან. რეალობა ასეთია. გმადლობთ.

**ნინო ლეჟავა** - ყველა თქვენგანის ხელს ვხედავ, ვისაც გსურთ შეკითხვის დასმა ან საკუთარი აზრის გაზიარება, თუმცა, შეიძლება ყველას ვეღარ მოგცეთ გამოსვლის საშუალება, რადგან დისკუსიის დასასრულს მომხსენებლებს კიდევ უნდა მივცეთ სიტყვა შესაჯამებლად. ახლა, გიორგი თაბაგარს ვთხოვ.

**გიორგი თაბაგარი** - ჩემი შეკითხვა ასევე არ შეეხება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს, უფრო ევროკავშირს ეხება. მაინტერესებს, მზარდი ევროსკეპტიციზმის, არსებული კრიზისის თუ ულტრამემარჯვენე ძალების მომძლავრების ფონზე, მიგაჩნიათ თუ არა, რომ არსებული ან ძველი ნარატივები საჭიროებს გადახედვას, ან როგორც მინიმუმ, ახალი ევროპული ნარატივის შექმნას, რომელიც ევროკავშირს ხელახალ ლეგიტიმაციას მოუტანს.

მეორე კითხვა დღეს არსებულ პრობლემებს ეხება - ფიქრობთ თუ არა, რომ პოსტლისაბონისეული სიტუაციები კრიზისს განიცდიან და ვერ შეასრულეს მათზე დაკისრებული მოლოდინები და ამიტომ, ეს ხელს შეუშლის სამომავლოდ ევროკავშირის ცენტრალიზაციას, ფედერალიზაციას.

**გიუნტერ ვერჰოიგენი** - თუკი შევხედავთ სიტუაციას, დავინახავთ, რომ გარკვეული მანიფესტირებული და აღმავალი ტალღა მემარჯვენე ექსტრემიზმისა ან რასიზმისა, ევროკავშირში არ არის თვალსაჩინო. არსებობს წევრ სახელმწიფოებში ამგვარი ტალღა, რომელიც პერიოდულად მატულობს, მაგრამ, შემდეგ კვლავ იკლებს. თუკი, სწორად ვაფასებ სიტუაციას, მხოლოდ უნგრეთშია ამ მხრივ პრობლემა გამოკვეთილი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ უნგრეთი ამ პრობლემას გადაჭრის. მსგავსი პრობლემა გვაქვს პოლონეთში. პოლონეთის ხელისუფლებამ გვითხრა, არ ჩავერიოთ. ჩვენც დავეთანხმეთ, რომ არ ჩავერევით და თვითონ გადაწყვეტენ ამ პრობლემას. დანიაშიც იყო ცოტა ხნის წინ მთავრობა, რომელიც ცდილობდა პოპულისტური განცხადებებით მოეგროვებინა ქულები და გამოდიოდა ნაციონალისტური დევიზებით... არსებობს ამგვარი პრობლემები, მაგრამ, ვერ ვიტყვით, რომ გლობალური ხასიათისაა. ჩემს უნივერსიტეტშიც მიმდინარეობს კვლევები ამ მიმართულებით და კვლევები გვაჩვენებს, რომ ნაციონალისტური მოძრაობები ხშირ შემთხვევაში უფრო ინტენსიურად თავს იჩენს ახალ წევრ სახელმწიფოებში. ნაციონალური ღირსების ან ნაციონალური თვითგამორკვევის მცდელობები სწორედ ახალი სახელმწიფოებისთვის არის რატომღაც უფრო

აქტუალური. გეთანხმებით, რომ არის ტენდენციები არის ამ მიმართულებით, თუმცა, შემიძლია ცალსახად ვთქვა, რომ ევროკავშირის არც ერთ წევრ სახელმწიფოში ვერ ვხედავ ტენდენციას დეზინტეგრაციისკენ. დიდ ბრიტანეთზე უკვე ვისაუბრეთ. პროპაგანდით, რომელსაც ამერიკის მასმედია ავრცელებს ევროკავშირის და ევროზონის წინააღმდეგ, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, რომ დღეს ევროზონა დაიშლება და ხვალ ევროკავშირი საერთოდ აღარ იარსებებს. ამგვარი ინფორმაცია ჩემთვის არ არის საინტერესო, იმიტომ, რომ საფუძველს და ლოგიკას მოკლებულია. რა თქმა უნდა, ამ პროცესებს თვალი უნდა მივადევნოთ, მაგრამ, ამ პრობლემაში არ უნდა დავინახოთ ჩვენი არსებობისთვის საშიში ფენომენი.

თქვენს მეორე კითხვასაც ვუპასუხებ - პროცესი ჯერ არ არის დასრულებული. გამოცდილება ჯერ არ მომწიფებულა. ძალიან მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციები მოხდა ძალაუფლებათა ბალანსის კონტექსტში. კომისიამ დაკარგა ძალიან ბევრი, გამარჯვებული იყო ევროპის საბჭო, რომელმაც უფრო მეტად იჩინა თავი, როგორც ევროკავშირის მთავრობამ. ეს ტენდენცია არ მიმაჩნია უარყოფით ტენდენციად, რადგან ზოგადად ევროკავშირის იდეა მდგომარეობს თავისუფალი სახელმწიფოების გაერთიანებაში. სახელმწიფოებისა, რომლებშიც დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე მოდის ხელისუფლება. თუმცა, ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. კომისია ასე ადვილად არ დათმობს თავის პოზიციას, ისევე, როგორც ევროპის საბჭო შეეცდება თავისი პოზიციის დაცვას. პარლამენტი ნებისმიერ შემთხვევაში გამარჯვებული დარჩება. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ ხელშეკრულებაზეა საუბარი, პარლამენტს მის უფლებებში ყოველთვის ცალსახა პოზიცია უკავია და დათმობაზე არ წავა. ევოლუციას რაც შეეხება, მას აქვს ტენდენცია აბსოლუტური პარლამენტარიზმისკენ. ლაპარაკია იმაზე, თუ ვინ გახდება მმართველი - საბჭო თუ კომისია. სასწორი არ დაბალანსებულა, ეს ბრძოლა ჯერ არ არის გადაწყვეტილი. ინსტიტუტები ფუნქციონირებენ, კომისიაც ისე აყალიბებს მის შეთავაზებებს, თითქოს კრიზისი არც არსებობდეს. მანქანა ისე აქტიურად მუშაობს, ზოგჯერ სურვილიც კი გვიჩნდება, ასე აქტიურად არ მუშაობდეს. სიტუაცია ამგვარია. ყოველ შემთხვევაში დავინახეთ, რომ ევროკავშირის გაფართოებას სირთულეები მუშაობის თვალსაზრისით არ მოჰყოლია. პირიქით, ჩემი დაკვირვებით, გადაწყვეტილებები გაფართოების მერე უფრო ეფექტურად და მალე მიიღება.

**თორნიკე გორდაძე** - საკმაოდ არაერთფეროვანი სიტუაციაა... ულტრამემარჯვენე ძალებს ვგულისხმობ ევროპაში. არის ანტიბრიუსელური, ანტიევროკავშირული ულტრამემარჯვენე ძალები აღმოსავლეთ ევროპაში. მეორე მხრივ, საფრანგეთში ქალბატონ მარი ლე პენის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი იმაში მდგომარეობს, რომ საფრანგეთი უნდა გამოვიდეს ევროზონიდან და შემდეგ, ევროკავშირიდანაც, რაც, რა თქმა უნდა, არარეალურია, მაგრამ, ის ფაქტი, რომ ეს ქალბატონი ამით ცდილობს პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებას, იმის მაჩვენებელია, რომ ასეთი დამოკიდებულება არსებობს არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, არამედ, ევროკავშირის დამაარსებელ ქვეყნებშიც. ამავე დროს, ვეთანხმები ბატონ ვერჰოიგენს, რომ არის სხვა ნაციონალისტური ულტრამემარჯვენე ჯგუფებიც დასავლეთ ევროპაში, მაგალითად, ბელგიასა ან იტალიაში, თუმცა, ისინი ევროკავშირის წინააღმდეგ არ გამოდიან. იგივე, შოტლანდიელი ნაციონალისტები, რომლებიც არ არიან ჩემი აზრით ულტრამემარჯვენეები, რომც გამოვიდნენ


HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

გაერთიანებული სამეფოდან, არ აყენებენ ევროკავშირიდან გამოსვლის საკითხს. ასე, რომ საკმაოდ არაერთგვაროვანი სიტუაცია გვაქვს თავად ევროკავშირში...

რა თქმა უნდა, ძველი ნარატივის გადახალისება აუცილებელია, მაგრამ, ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროკავშირი მხოლოდ სამოცი წელია, რაც არსებობს. სამოცი წელი კი, ისტორიისთვის არაფერია. მაგალითად, სამოცი წელი იმეფა საფრანგეთში ლუი მეთოთხმეტემ. ახლა, ევროკავშირი, ჩემი აზრით ,,მოზარდობის კრიზისს'' განიცდის. რაღაც მომენტში გაფართოვდა ისე, რომ თვითონაც ვერ აღიქვა ეს გაფართოება... ევროკავშირში ღირებულებების გადაფასების პროცესი მიმდინარეობს. იმედი მაქვს, რომ ინსტიტუციური პრობლემებიც, რომლებიც ლისაბონის შემდეგ არსებობს და დამოკიდებულია იმ ადამიანებზე, რომლებიც არიან ინსტიტუციებში მუშაობენ, რომლებსაც გააჩნიათ საკანონმდებლო რესურსი, ეფექტურად გამოიყენებენ ამ რესურსებს. იმედს ვიტოვებ, რომ ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესები გაძლიერდება, იმიტომ, რომ ჩვენთვის, საქართველოსთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, რაც უფრო გაღრმავდება ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესები... რა თქმა უნდა, ეროვნულ სუვერენიტეტებს გაუქმება საბოლოოდ არ ემუქრება, მაგრამ, ჩვენი ინტეგრაციისთვის ეს ბევრად უფრო მარტივი იქნება... არსებობს რამდენიმე ხელშეკრულება, რომელსაც ევროკავშირთან ვაფორმებთ, რომლებსაც რატიფიცირება არ სჭირდება, და ქრონოლოგიურადაც, უფრო სწრაფად შეიძლება გახორციელდეს, ვიდრე, მაშინ, როცა 27 ქვეყნისგან არის საჭირო რატიფიცირება... ამიტომ, ჩვენთვის ძალიან კარგი იქნება, თუკი ინტეგრაციული პროცესები გაღრმავდება და ლისაბონის მიერ შექმნილი ინსტიტუტები უფრო გაძლიერდება.

**ნინო ლეჟავა** - გმადლობთ. ახლა, ქალბატონ ქეთის მინდა ვთხოვო კომენტარი. მართალია, კითხვები უფრო ბატონ ვერჰოიგენისა და ბატონ თორნიკესკენ იყო მიმართული, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ მასაც აქვს სათქმელი ამ თემაზე.

**ქეთევან ციხელაშვილი** - ძალიან ლეგიტიმური კითხვაა, ბუნებრივია, რომ ვინტერესდებით იმით, თუ, რა ელის ევროპას მომავალში, იმიტომ, რომ ეს ჩვენი მთავარი პრიორიტეტია, ასეა გაცხადებული და სიმბოლიკითაც ძალიან მკაფიოდ მხარდაჭერილი, იმიტომ, რომ ყველგან ევროკავშირის დროშები გვაქვს. სინგაპურის დროშები არ გვაქვს, მაგრამ, ის კითხვაც ლეგიტიმური იყო, იმიტომ, რომ უმაღლესი ხელისუფლების პირებისგან ხშირად ისმის განცხადება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მიმზიდველია სხვა მოდელები. თავისთავად, ტრანსფორმაციის პერიოდში მოდელების ძიება შეიძლება არ იყოს ასეთი დიდი ცოდვა, მაგრამ, როდესაც არ ხდება განმარტება, თუ, რას ნიშნავს სინგაპურის მოდელი საქართველოსთვის, რომელიც ევროკავშირისკენ მიისწრაფის, ბუნებრივია, კითხვები იბადება. იმიტომ, რომ სინგაპური ბევრის თვალში არ ასოცირდება მხოლოდ მაღალ ცათამბჯენებთან. იგი წარმოადგენს პოლიტიკურ სისტემას, რომელიც არცთუ ისე მიმზიდველია... მაგალითად, სინგაპურს არა აქვს სოფლის მეურნეობა, იქ, სულ 27 კომლი ცხოვრობს, როგორც ჩემთვის ცნობილია, ერთ სოფელში და ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოში სიდიდით მეოთხე პორტი აქვს ლოჯისტიკის თვალსაზრისით... მის შემოსავლებს საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ შავ ზღვაზე გასასვლელი გვაქვს, სამწუხაროდ, ვერ შეედრება. მაგრამ, თუ, ეს გასაგებია მათთვის, ვინც ამ განცხადებებს აკეთებს, არ არის გასაგები მათთვის, ვინც ამ განცხადებებს ისმენს... ასეთი განცხადება

დამაბნეველია, შემაშფოთებელი თუ არა... ამიტომ, ეს კითხვაც ლეგიტიმური იყო, თუმცა, ჩემთვის თქვენი მოსაზრებაც გასაგებია და იმედს ვიტოვებ, რომ საბოლოოდ, პოლიტიკის კონსოლიდირება მოხდება ევროკავშირთან ინტეგრაციისაკენ, რასაც, სამოქალაქო საზოგადოებაც მხარს უჭერს.

ნარატივებს რომ დავუბრუნდეთ, სამოქალაქო საზოგადოებაშიც არის, ბუნებრივია, ნაწილი, რომელსაც კითხვაზე, გვსურს თუ არა ევროკავშირში გაწევრიანება, შეიძლება უარყოფითად ეპასუხა და ეთქვა, რომ ევროკავშირი არის ბიუროკრატია და რეგულაციები, რაც საფრთხეს უქმნის თავისუფალ ბიზნეს-გარემოს, ინვესტიციებს, და რომ, ევროკავშირში კრიზისია და მისი მომავალი გაურკვეველია... მაგრამ, რამდენად უკავშირდება ეს იმას, რომ ჩვენ თვითონაც უნდა გადავსინჯოთ პრიორიტეტები... ეს არ მეჩვენება რელევანტურად... ევროკავშირი არის ტრანსფორმაციაში, ლისაბონის ხელშეკრულებასაც, ალბათ, დრო სჭირდება და ბევრი ინსტიტუტი, ჯერჯერობით, ისე არ მოქმედებს, როგორც უნდა მოქმედებდეს... საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, სამი თუ ოთი ერთდროულად მომუშავე ნარატივი გვაქვს, ასე, რომ ვაცალოთ ევროპელებსაც, გადახარშონ ეს ყველაფერი და მოახდინონ ტრანსფორმაცია...

იმის თქმა მინდა, არის კი დღეს საქართველოსთვის სხვა უფრო მიმზიდველი ალტერნატივა ან მოდელი? იმასაც ხშირად ვამბობთ, რომ პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შედეგი. ჩვენ წევრობის პერსპექტივა არ გვაქვს. ბატონმა ვერჰოიგენმა აღნიშნა, რომ მთავარია მზად ვიყოთ მომენტისთვის, როცა ის დადგება. ბოლოს და ბოლოს, მერე განვიხილოთ, გვენდომება თუ არა ევროკავშირი იმ კონდიციაში, როგორშიც ის იქნება. გმადლობთ.

**ნინო ლეჟავა** - გმადლობთ. ვახუშტი მენაბდეს ვთხოვ დასვას კითხვა ან მოკლედ გაგვიზიაროს თავისი მოსაზრება, იმიტომ, რომ თანდათან უნდა დავასრულოთ დისკუსია.

**ვახუშტი მენაბდე** - კითხვა მექნება ქართველ მომხსენებლებთან. მაინტერესებს, რამდენად თავსებადია ჩვენი სახელმწიფოს ან ხელისუფლების მოქმედებები ევროკავშირის ისეთ ღირებულებებთან, როგორიც არის შრომითი უფლებები, მომხმარებელთა უფლებების დაცვა ან ბაზრის რეგულირება. ამ მიმართულებით ბევრი კრიტიკა გვესმის. როგორ შეიძლება ამ მიმართულებით განვითარდეს მოვლენები ან როგორ შეიძლება დაახლოვდეს ეს ღირებულებები ერთმანეთთან?

**თორნიკე გორდაძე** - მოკლედ გიპასუხებთ - მხოლოდ გაუმჯობესება. იმიტომ, რომ თუ, ეს იქნება ნაწილი იმ დაახლოებისა, რისკენაც კურსი გვაქვს აღებული, ასოცირების შეთანხმება თუ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება, ამ კრიტერიუმების გაუთვალისწინებლად არ მიიღწევა. მოგეხსენებათ, რომ პარალელურად მიმდინარეობს დიალოგი ILO-სთან. თვითონ ევროკავშირი ამ საკითხებს არ ამოწმებს, ის პირდაპირ ILO-საგან იღებს რეკომენდაციებს და შეფასებებს საქართველოზე. ამ მხრივ, მუშაობა მიმდინარეობს. რამდენიმე მისია უკვე იყო ჩამოსული და მოქმედება ამ მიმართულებით კიდევ გაგრძელდება. გმადლობთ.

**ნინო ლეჟავა** - გმადლობთ. ვთხოვ გამომსვლელებს შევაჯამოთ დღევანდელი დისკუსია. ბატონ თორნიკეს ჰქონდა შესაძლებლობა ვრცლად ესაუბრა. ქალბატონ ქეთის ვთხოვ, თუ რაიმეს დაზუსტება უნდა სწორედ იმ კითხვებიდან გამომდინარე, რაც დღეს იქნა დასმული და შემდეგ უკვე, საბოლოო სიტყვას ბატონ ვერჰოიგენს გადავცემ.

**ქეთევან ციხელაშვილი** - თავს აღარ შეგაწყენთ. რამდენიმე კომენტარი მქონდა და უკვე მომეცა საშუალება, გამომეთქვა ჩემი აზრი. დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ დღევანდელი დისკუსიის მოწყობისათვის. იმედი მაქვს ამ თემაზე კვლავაც მოგვეცემა მსჯელობის საშუალება. ასევე, ვიქონიებ იმედს, რომ ჩემი თხოვნა ხელისუფლებასთან სტრუქტურულ დიალოგთან დაკავშირებით არ დარჩება უპასუხოდ, რაც საშუალებას მოგვცემს ყველა ის ამოცანა განვახორციელოთ, რაზეც ვსაუბრობდით და რაც უკავშირდება, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართვას ამ პროცესში. დიდი მადლობა ბატონ ვერჰოიგენს ძალიან საინტერესო მოსაზრებების გაზიარებისთვის.

**გიუნტერ ვერჰოიგენი** - დიდი მადლობა. ჩემთვისაც ძალიან საინტერესო იყო თქვენი მოსმენა. სასიამოვნო იყო იმის გაგება, თუ, რამდენად ცალსახაა პოლიტიკური კონსენსუსი საქართველოში, რამდენად ჩამოყალიბებულია მოსახლეობა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სურს ევროკავშირისკენ მოძრაობა. სამოქალაქო კონსენსუსის არსებობა ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია. მოგიწოდებთ, ყოველთვის შეეცადოთ, რომ საქართველოს გზა ევროკავშირისკენ დაინახოთ როგორც ყველა ქართველის საერთო მიზანი, რომელიც ნებისმიერ პარტიულ ინტერესზე მაღლა დგას და ეს არ გახადოთ პოლიტიკური კამათის, პოლიტიკური დისკუსიის საგანი, არამედ, აქციოთ პოლიტიკურ მიზნად, რომელიც ყველა პარტიას და ყველა პოლიტიკოსს გააერთიანებს. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია გითხრათ, რომ ყოველივე ამას დიდი გამოხმაურება შეიძლება ჰქონდეს. თუკი, ევროპული ერი გადაჭრით აკეთებს აქცენტს ევროპაზე, მზად არის განახორციელოს შესაბამისი რეფორმები, ცვლილებები, ამ ერს, ხალხს, მსოფლიოში ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს. ეს იყო, რისი თქმაც მინდოდა. გმადლობთ.

**ნინო ლეჟავა** - დიდი მადლობა. ძალიან საინტერესო მოსაზრებები მოვისმინეთ საქართველოს მომავლის შესახებ ევროკავშირთან მიმართებაში. გთხოვთ, ვიყოთ პოლიტიკური მომენტის და შესაძლო "ფანჯრის" მოლოდინში. საამისოდ, საქართველოს, ალბათ, რთული გზა აქვს გასავლელი.

წარმატებას ვუსურვებ გიორდელერის კოლეჯის მსმენელებს, ასევე, მომავალ მსმენელებსაც... და, გიორდელერის კოლეჯის სახელით გიწვევთ მცირე მიღებაზე. გმადლობთ.